

# ქართული



5(30) 2010

სექტემბერი-ოქტომბერი

ქართუცი ძარღო ენას?  
ქართუცი ქართუცი რნქნას!  
ღმერთი, ბედისწერა,  
ზღვა რთ, იმღუნას!

გაკმანის ქართული სათვისტომოს ორგანო

საიუბილო გამოქვეყნება

# ნოთაჰშინა:

ჩემი უფროსი დიდი მყვება ქართველების ერთგულებას  
ინტენციურ ღმერთს დღი დათმავდა 3-10

მომწივებნი ცხვირდანი წახუნდნან  
საუბანი ღმერთს ვახუცაზს ჩაბრუნებან 10-14

მეზვენად ქართველებთან  
ამონაზიდნი წიგნიდან „სუბოგთის ცის ქვეშ“ 14-15

აღუქვანდეს აბხაზი 16-18

საფრანგული ემიგრანტები მერსე მხოვლით მძინი 18-24

Der letzte Flug 24-30

მეზვენას მწიგანდ დათმ ცხაშვირდანი 31

## ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ქართველების მართიანობაა

65 წლის წინ, ომის მრისხანე ტალღებით შორს გატყორცნილმა და გარიყულმა ქართველებმა, ბრძოლები-საგან დანგრეულ და გაპარტახებულ გერმანიაში მონახეს ერთმანეთი, რათა უცხო მიწაზე შეექმნათ პატარა სამშობლოსმაგვარი ატმოსფერო. ამის შედეგად დაარსდა ბაგარიის მიწაზე, ქალაქ მიუნხენში ქართული სათვისტომო. მას შემდეგ, წლების განმავლობაში იკრიბებოდნენ ქართველები, საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე ბჭობდნენ, მისი გათავისუფლების გეგმებს აწყობდნენ, ერთი მეორეს ანუგეშებდნენ და ნოსტალგიის დაძლევაში ეხმარებოდნენ. უნებურად ემიგრანტებად ქცეულები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სათვისტომოს სახელოვანი თავმჯდომარეები და ყველანი მუდამ უკან, სამშობლოში დაბრუნებზე ოცნებობდნენ. ...გადიოდა წლები. საქართველოში იცვლებოდა წყობა, მთავრობები, სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის გერმანიაშიც, ქართველ ემიგრანტთა ახალ-ახალი ტალღების წარმოშობას განაპირობებდა. კვლავ გამოიკვეთა ნახევარი საუკუნის წინ დაფუძნებული ორგანიზაციის აუცილებლობა, თუმცა უფრო სახეცვლილისა, ფუნქციებგაფართოებულისა.

ჩვენი ჟურნალის სტუმარია გერმანიის ქართული სათვისტომოს რიგით მერვე თავმჯდომარე - ბატონი ლერი დათაშვილი. იგი ოჯახთან ერთად უკვე 10 წელია მიუნხენში ცხოვრობს და საკმაოდ დატვირთული სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად დაუღალავად ემსახურება სათვისტომოს. მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის აეროკოსმოსური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, დოქტორი ლერი დათაშვილი დღეს სათვისტომოს შესახებ გვესაუბრება.

- ბატონო ლერი, პირველ რიგში მინდა თქვენ, როგორც გერმანიის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს, მოგილოცოთ მისი იუბილე. წელს სათვისტომო ხომ 65 წლის ხდება. იქნებ გვიამბოთ სათვისტომოს ისტორიის შესახებ, რამდენადაც დღეისათვის ინფორმაცია მოგეპოვებათ. ვიცი, რომ თქვენ სათვისტომოს ისტორიას იკვლევთ და გარკვეულ ინფორმაციასაც მიაგენით, რომელიც გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ გერმანიის ქართული სათვისტომო 65 წელზე უფრო ძველია.

- დიდი მადლობა იუბილეს მოლოცვისათვის. ეს მოლოცვა მთელ გერმანიის ქართველობას ეკუთვნის, მეც ვუერთები მას და ყველას, ვინც კი გერმანიის დიასპორას წარმოადგენს, როგორც ძველი თაობის, ასევე ახალი თაობისას, ვულოცავ ამ თარიღს. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ამ ბოლო პერიოდში სათვისტომოს ისტორიას ნამდვილად ჩავეძიე (ძირითადად პროფ. გ. შარაძის, პროფ. რ. დაუშვილისა და ლ. ბაქრაძის შრომების მიხედვით) და ვაპირებ ჩვენს საიუბილეო საღამოზე მცირე სახით წარმოვუდგინო იგი დამსწრეებს.

ჩვენი სათვისტომო იურიდიულად 1945 წელს არის დაარსებული. მისი პირველი თავმჯდომარე იყო ბატონი სანდრო კონძაია, რომელიც, როგორც ბატონი ვახტანგ ჩხაიძისაგან ვიცით, ქალაქ ფოთის მერი ყოფილა ბოლშევიკების მოსვლამდე, იგი სწორედ ამ პერიოდის ემიგრანტია. როდესაც სხვა ინფორმაციას გადააკვებთ თვალს, ნახავ, რომ კორძაია 20-იან წლებში, კერძოდ კი 1922 წ. არის ორგანიზაცია

- „ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში“ (Gesellschaft Georgischer Bürger in Deutschland e.V.) დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე. 30-იანი წლების ბოლოს ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრადაც გვევლინება. 1937 წლიდან საზოგადოება ახალი სახელწოდებით „ქართველთა ახალშენი გერმანიაში“ (Georgische Kolonie in Deutschland e.V.) არის ცნობილი. გარკვეულ მიზეზთა გამო გერმანიის პოლიციამ მაშინდელი სათვისტომოს გამგეობა დაშალა და მათთვის სასურველი პიროვნება დასვა ხელმძღვანელად. ომის პერიოდში საერთოდ წყდება ამ ორგანიზაციის მოღვაწეობა.

ჩვენთვის ცნობილია, რომ 1945 წელს ბატონი სანდრო კორძაია მიუნხენში ჩამოდის, სწორედ ამ დროს იქ მყოფი ქართველები მასთან ერთად სათვისტომოს აფუძნებენ და სოციალდემოკრატი სანდრო კორძაია უკვე ახალი დაფუძნებული ორგანიზაციის თავმჯდომარე ხდება. ასე რომ, პირდაპირი და ფუნქციური მნიშვნელობითაც, გერმანიის ქართული სათვისტომო 20-იან და 30-იან წლებში მოქმედი სათვისტომოს მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი სათვისტომო მაშინდელმა პირველმა წევრებმა დღევანდლამდე მოიტანეს და ახალ თაობებს გადმოგვცეს.

- იქნებ სათვისტომოს თავმჯდომარეები გავისჩინოთ.  
- როგორც გითხარით, სანდრო კორძაია იყო სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე (1945 – 1953

წწ).

მეორე თავმჯდომარე იყო ბატონი გიორგი მაღალაშვილი (1953 – 1958 წწ.), პროფესიით ექიმი. მისი ვაჟი კონსტანტინე მაღალაშვილი (მაღალაშვილი) დღესაც ჩვენი სათვისტომოს წევრი და აქტიური მხარდამჭერია. ისტორიული არქივიდან ფოტოებიც სწორედ მისი დახმარებით მოვიპოვეთ.

სათვისტომოს მესამე თავმჯდომარე იყო ბატონი ვანო ანდრონიკაშვილი (1958 – 1962 წწ.).

მეოთხე თავმჯდომარე გახლდათ ნიკო ნაკაშიძე (1962 – 1967 წწ.) იგი იყო საქართველოდან 1924 წელს პოლიტიკური პატიმრობის შემდეგ გამოძევებული.

მეხუთე თავმჯდომარე, 1967 – 1984 წწ., იყო ექიმი გიორგი ვეფხვაძე.

საკმაოდ მნიშვნელოვანია ბატონი ქრისტეფორე კირკიტაძის პერიოდი, იგი სათვისტომოს მუშაობაზე თავმჯდომარე გახლდათ 18 წლის განმავლობაში (1984 – 2002 წწ.). როგორც ჩვენი უფროსი თაობის წევრები იხსენებენ, კარგი და კეთილი საქმეები კეთდებოდა ამ პერიოდში. ბოლოს კი, გარდამავალ პერიოდში, ბატონი ვახტანგ ჩხაიძე ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სათვისტომოს.

**- როდესმე თუ აღმოჩენილა სათვისტომო კრიზისულ მდგომარეობაში პოლიტიკური ზეწოლისა, ფინანსური თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო და თუ მდგარა მისი არსებობის შეწყვეტის საშიშროება?**

- როგორც ყველა ორგანიზაციას, და მით უმეტეს ისეთი პოლიტიკური სახისას, როგორც სათვისტომო ადრე იყო, რა თქმა უნდა, ექნებოდა პრობლემები. ისტორიულ ჩანაწერებში შეხვდებით კიდევაც ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ყოფილა შიდა დაპირისპირებები, მასპინძელი სახელმწიფოს მხრიდან უხეში ჩარევის შემთხვევებიც. ასევე იყო უახლეს პერიოდში „ახალგაზრდული სიფიცხის“ გამო გაუგებრობები და დამატებლობები, თუმცა ამ ყველაფერს გაუძლო სათვისტომომ, პოლიტიკური გარემოს ცვლილებასთან ერთად მან ფუნქციაც შეიცვალა და საქველმოქმედო, კულტურულ და სამეცნიერო მტკიცე და სტაბილურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

**- ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა ემიგრანტთა ნაკადი გერმანიაში, შესაბამისად კი სათვისტომოს ფუნქცია, სპეციფიკა და დატვირთვა. თუ შეგიძლიათ გამოყოთ რაიმე ეტაპები?**

- 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის პერიოდში საქართველოს ნაღები ინტელიგენცია, მისი „მამოძრავებელი ტვინი“ გავიდა საზღვარგარეთ. ისტორიულ წიგნებში საუბარია რამოდენიმე ათას



რიხარდ ვესტი, ლერი დათაშვილი, კარლო ინასარიძე, ნელი ლენცი

კაცზე, პოლიტიკურ ლიდერებზე, მწერლებზე, ხელოვანებზე, ფაქტიურად საქართველოს მთელს ელიტაზე.

მინდა ყურადღება პოლიტიკურ მოღვაწეებზე გავამახვილო, რადგან ისინი იმ დროისათვის ემიგრანტთა ძირითად და გადამწყვეტ ნაწილს წარმოადგენდნენ. მათ მიერ უცხოეთში ჩატარებული ყოველი ქმედება იყო მიმართული საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერისაკენ. მათი ერთადერთი მამოძრავებელი მიზანი სამშობლოსათვის თავისუფლების მოპოვება იყო. ეს ფუნქცია ამ ემიგრანტებმა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნეს და არსებობდნენ ისეთებიც, რომლებიც ისე გარდაიცვალნენ ემიგრაციაში, რომ საქართველოში დაბრუნების იმედით ჩემოდნები არც ამოულაგებიათ.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ემიგრაციას სულ სხვანაირი სახე ჰქონდა. ხალხი გაურბოდა იმ უაზრო მოძალადეობრივ რეჟიმს, რასაც საბჭოთა კავშირში ჰქონდა ადგილი.

მეორე მსოფლიო ომმა წარმოშვა კიდევ დამატებითი ტიპის ემიგრანტები, რომლებიც იყვნენ ან ტყვედ ჩაყარნილი ქართველები, ან სხვადასხვა მიზეზით აქ მოხვედრილი ჩვენი თანამემამულეები. ამ დროისათვის წამოიზარდნენ ასევე ძველ ემიგრანტთა შვილებიც და მათ შექმნეს საქართველოს ახალი განმათავისუფლებელი კომიტეტები.

ომის შემდეგ მათ შეუერთდნენ ტყვედ ჩაყარნილი ქართველები, ქართული ბატალიონის წევრები, რომლებიც გერმანული მხრიდან მზადდებოდნენ და საქართველოს განთავისუფლებაზე მუშაობდნენ. სწორედ მათ მიერ შეიქმნა შემდეგი ემიგრაციული

სურათი გერმანიაში.

ეს ყველაფერი მეტ-ნაკლებად ერთფეროვნად გრძელდებოდა, ვიდრე 70-იან წლებიდან არ გაჩნდა ემიგრანტთა ახალი, თუმცა მცირე, ტალღა – ხელოვანებისა და ხალხისა, რომელიც დისიდენტური მოძრაობის პერიოდში საბჭოთა კავშირის ფსიქოლოგიურ ტერორს განერიდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არის ემიგრაციის უკვე ძალიან ინტენსიური ნაკადი. პირველი ხელისუფლების დამხობის შემდეგ უამრავი ადამიანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის გარეთ. ამას დაემატა ომები და ლტოლვილების წარმოშობა, რომლებიც, ცხადია, უცხოეთსაც მოეფინენ. შემდეგ იყო სოციალურ-პოლიტიკური სახის ემიგრაცია, იყო სამუშაოს მაძიებელთა ტალღა, რომელთა რაოდენობა დღესაც, მაგალითად, რუსეთსა და საბერძნეთში საოცრად დიდია.

რუსეთში წასული ემიგრაცია ძალიან მრავალფეროვანია, მათ შორის არიან მეცნიერებიც, ექიმებიც, ხელოვანებიც, ბიზნესმენებიც და ყველა სხვა პროფესიის წარმომადგენლები. იქ ძალიან დიდი ნაწილი გაიზარდა თუნდაც ახალი ბიზნესმენებისა. საბერძნეთი ცალკე აღსანიშნავი თემაა, სადაც როგორც „უხეში ცნობებით“ 300.000–500.000 ემიგრანტ ქალბატონს ასახელებენ, რომლებმაც იქაურობას მიაშურეს 90-იან წლებში თავინთი თავისა და ოჯახების გადასარჩენად.

ბოლო 10 წლის განმავლობაში გერმანიას, იქიდან გამომდინარე რომ სწავლა უფასო იყო, მოეძალა ქართველი ახალგაზრდობა. რადგანაც ჩამოსვლა არც ისე ადვილი გახლდათ, ისინი გარკვეული პროგრამებით ახერხებდნენ აქ მოხვედრას, მაგ. Au-Pair-პროგრამებით ოჯახებში სამუშაოდ 1 წლის განმავლობაში და შემდეგ ცდილობდნენ აქ დარჩენას და სწავლის გაგრძელებას. ჩემის აზრით, უდიდეს გმირობად არის აღსაქმელი ამ ახალგაზრდების მიღწევები საქართველოსათვის. დაიწყო ბავშვების მომვლელად ოჯახში, შემდეგ ენა შეისწავლო, სტუდენტობა მოახერხო - არ არის იოლი. პროფესიონალებად ჩამოყალიბებულნი, ისინი ან ჯერ კიდევ გერმანიაში მუშაობენ და გვემაში აქვთ დაბრუნება ან უკვე დაუბრუნდნენ საქართველოს.

ამ მხრივ ძალიან მისასალმებელი და აღსანიშნავი არის სტუდენტთა მხარდამჭერი ის მრავალი პროგრამა, რომელიც საქართველოში ხორციელდება. ჩემთვის ძალიან სასიხარულოა, რომ გერმანიაში გაჩნდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სტუდენტების საკმაოდ დიდი რიცხვი, რისი წარმოდგენაც თუნდაც 10 წლის წინ შეუძლებელი იყო. ეს საქართველოსათვის არის ძალა და მომავალი, რა თქმა უნდა იმ პირობით, რომ ეს ახალგაზრდები

გაზრდილები, პროფესიონალებად ქცეულები ისევ საქართველოს დაუბრუნდებიან.

## **- რა ფუნქციები და სპეციფიკა აქვს დღევანდელ გერმანიის ქართულ სათვისტომოს და ვინ არიან მისი წევრები?**

- სათვისტომოს ფუნქციების განსაზღვრა არ არის ადვილი, როდესაც ამდენად შეზღუდულია სათვისტომოს შესაძლებლობები. ფუნქციები სწორედ შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. ორგანიზაციულ და მოქმედების არეალის ზრდასთან ერთად, ჩვენ სათვისტომოს ფუნქციებსაც ვაფართოვებთ. ეს ფუნქციები უკვე საკმაოდ დიდი ხანია არ განისაზღვრება მხოლოდ ქართული ნოსტალგიის დაძლევიტ, რასთანაც, მაგალითად, 20-30 წლის წინ იყო დაკავშირებული ქართული სათვისტომოს შეხვედრები. დღეს სათვისტომოს ასევე აკისრია ფუნქცია გერმანიაში მოხვედრილ ქართველობას შესაძლებლობისდაგვარად ხელი გაუმართოს, ინფორმაციულად დაეხმაროს და გზამკვლევის როლში მოველინოს.

რაც შეეხება წევრებს, სათვისტომოს უპირველესი და ყველაზე დაფასებული წევრები ძველი თაობის ქართველები არიან. თუმცა უფრო და უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი. ფაქტიურად, სტუდენტების ან ყოფილი სტუდენტების აქტიურობაზეა დაფუძნებული სათვისტომოს მთელი მუშაობა. ასევე ძალიან მძლავრი არის ქართულ-გერმანული ოჯახების მონაწილეობა სათვისტომოს მოძრაობაში და სხვადასხვა ქალაქებიდან ქართველთა მხარდაჭერა, რაც ასევე ძალიან მისასალმებელია.

## **- რითი ფინანსდება გერმანიის ქართული სათვისტომო? რამდენია სათვისტომოს წლიური საწევრო გადასახადი? რა ჰქნან მათ, ვისაც სათვისტომოს წევრობა სურთ, მაგარამ არა აქვთ საშუალება საწევროს გადახდისა?**

- ფინანსდება კი? ჩვენი ძირითადი ბიუჯეტი შედგება სათვისტომოს წევრების საწევრო გადასახადებისაგან, რომელიც, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, შეადგენს 60 ევროს წელიწადში, სტუდენტებისათვის – მხოლოდ 30 ევროს. მაგრამ ეს არ არის მთავარი, ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარი, რაც ბიუჯეტზე მეტია, არის სათვისტომოში მუშაობის და იდეების რეალიზაციისათვის შექმნილი ჯანმრთელი გარემო. ეს, თავის მხრივ, სტიმულს აძლევს ხალხს მოვიდნენ ჩვენთან და ასე ვთქვათ, თავიანთი დროის შემოწირულობა გააკეთონ. იმით, რომ ისინი სათვისტომოს სამუშაოებში ერთვებიან, უზარმაზარი წვლილი შეაქვთ საერთო საქმეში. შესაძლებელია ადამიანი არიყოს სათვისტომოს „გადამხდელი წევრი“,

მაგრამ იყოს ჩვენი ორგანიზაციის ძალიან აქტიური წევრი და მისი წვლილი განუზომელი იყოს. ყველას, ვინც სათვისტომოს წესდებას (რაც ჩვენი მუშაობის საფუძველია) ეთანხმება, შეუძლია მისი წევრი გახდეს. მსგავსი წევრობა განსაკუთრებით მოხერხებული და მისაღები არის Au-Pair გოგო-ბიჭებისათვის და იმ ადამიანებისათვის, რომლებიც სხვა ქალაქებიდან აცხადებენ ჩვენი სათვისტომოს წევრებად გახდომის სურვილს, თუმცა ბოლო პერიოდში სხვა ქალაქებში გაზრდილი აქტიურობის პირობებში გადამხდელი წევრები ემატებიან სათვისტომოს და ამით ქმნიან ადგილობრივ სამოქმედო ბიუჯეტებს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არსებობს ერთი იურიდიული საკითხი – როდესაც საქმე არჩევნებსა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას შეეხება, ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ „გადამხდელი წევრების“ მიერ, რადგანაც მხოლოდ მათ აქვთ გადაწყვეტი ხმის უფლება.

## **- იქნებ სათვისტომოს პროექტების შესახებ მოგვიყვით.**

- სათვისტომოს პროექტების სპეციფიკას რაც შეეხება, ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ქველმოქმედებაა. ასევე მნიშვნელოვანი მიმართულება არის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდების განათლებაში რაიმე სახით წვლილის შეტანა. სწორედ ამ მიზნით ვახორციელებთ სხვადასხვა პროექტებს. აღსანიშნავია გერმანიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს შორის „წლის საუკეთესო სტუდენტის“ კონკურსი, რომელსაც უკვე 5-6 წელიწადია წარმატებით ვატარებთ. დაწესებული პრიზი და „წლის საუკეთესო სტუდენტის“ ტიტული, ჩვენი მცირედი წვლილია სტუდენტების მოტივაციისათვის, უფრო სწორად კი, მათი კარგი სწავლის პირველადი, ასე ვთქვათ, დაფასებისათვის.

მეორე პროექტი საქართველოში, კერძოდ კი მესხეთ-ჯავახეთში, ადგილობრივი ორგანიზაციების ხელშეწყობით ტარდება. ეს არის კონკურსი მოსწავლეთა შორის გერმანული ენის ცოდნაში. გერმანიის ქართულმა სათვისტომომ ამ კონკურსის კონცეფციის შემუშავების პერიოდიდანვე დააწესა კონკურსის გამარჯვებულისათვის მთავარი პრიზი – გამარჯვებული მოსწავლის ჩამოყვანა გერმანიაში. აქ მას საშუალება ეძლევა ისწავლოს გიმნაზიაში თავისივე თანატოლებთან ერთად, იმავე კლასში რომელშიც საქართველოში სწავლობს. ეს კონკურსი უკვე სამი წელია რაც ტარდება. მას საკმაოდ დიდი გამოხმაურება აქვს სკოლებიდან, რომლებშიც ეს ბავშვები სწავლობენ, ასევე მშობლებისაგან, ყველაზე თბილად კი თვითონ ბავშვები იხსენიებენ აქ გატარებულ დროს. ისინი აღნიშნავენ, რომ ძალიან

დიდი გამოცდილება და დიდი სკოლაა მათთვის ის ორი-სამი თვე, რომელსაც ისინი გერმანიაში ატარებენ.

სათვისტომოს ერთ-ერთი ძირითადი და შედარებით ძველი პროექტია ქართულენოვანი ჟურნალი „ქართული“. იგი 2003 წლიდან ორ თვეში ერთხელ გამოდის. ძველი თაობის ემიგრანტების სიხარული მახსოვს ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლისას, როგორც აღნიშნავენ, მათ ყოველთვის ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული ბეჭდვითი ორგანოს ქონა და ეს მხოლოდ ახალგაზრდების შემართების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ჟურნალი თანამშრომლობს აშშ-ში გამოძვალ ქართულენოვან გაზეთთან და სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. მასში იბეჭდება ასევე ჩვენი გერმანელი მეგობრების სტატიები, მათი საქართველოში მოგზაურობის რეპორტაჟები და შთაბეჭდილებები. ჟურნალმა მიიღო კლასიფიკაციის საერთაშორისო ნომერი და იგი შესულია ბიბლიოთეკათა ქსელში. აქვე მინდა ერთი საინტერესო დეტალის შესახებ გავცნოთ: 1916 წელს დაარსებულ ქართული კომიტეტის ბეჭდვით ორგანოს ასე ერქვა „ქართული გაზეთი“, უბრალოდ შეადარეთ რამდენად დიდი შემთხვევითი თანხვედრაა მაშინდელ – „ქართული გაზეთი“ და ახლანდელ – ჟურნალი „ქართული“ - გამოცემების დასახელებებს შორის.

სათვისტომოს მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს ასევე „ქართული საკვირაო სკოლა“, რომელიც წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერითაც სარგებლობს. გაკვეთილების ჩატარებაში პერიოდულად ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი თამაზიც მონაწილეობს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გერმანიაში სათვისტომოსა და ეკლესიის ურთიერთობის სახით, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ძალიან კარგი მაგალითი ჩამოყალიბდა. ეკლესიის მრევლის დიდი ნაწილი აქტიურადაა ჩართული სათვისტომოს საქმიანობაში და პირიქითაც, სათვისტომოს მრავალი აქტიური წევრი არის ეკლესიის მრევლის წარმომადგენელი. ასეთი ურთიერთობა არის საფუძველი იმისა, რომ ქართული დიასპორა ერთიანი და შეკრული იყოს.

საკვირაო სკოლის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენს შვილებს არ დაუკარგოთ ჩვენი მშობლიური ენა. გვქონია არაერთი მაგალითი იმისა, რომ ბავშვებს, რომლებიც 3-5 წლის ასაკში ქართულად კარგად საუბრობდნენ, გერმანულ სკოლაში მისვლის შემდეგ გარკვეული პროტესტი გაუჩნდათ – რატომ ისაუბრონ ქართულად, როდესაც მათ გარშემო ყველა ბავშვი გერმანულად საუბრობს. ამ პრობლემის გადაწყვეტა



გაკვეთილზე საკვირაო სკოლაში

ბავშვის ქართულ საკვირაო სკოლაში მოყვანიტ შეიძლება. აქ ის ხედავს, რომ არსებობენ სხვა მისი თანატოლებიც, რომლებმაც ქართული ენა იციან და, ხშირ შემთხვევაში, მოხარულიც არის, რომ თვითონაც ჯერ კიდევ შეუძლია რამოდენიმე ქართული სიტყვის თქმა.

სათვისტომოს საკვირაო სკოლა, რომელიც საკვირაო ბაღსაც მოიცავს, განთავსებულია ორგანიზაცია „კარიტასის“ დაქვემდებარებულ საბავშვო ბაღში. ჩვენ ძალიან მაღლობელები ვართ მათი, ვინაიდან მათ უსასყიდლოდ მოგვცეს კვირაობით ამ ბაღით სარგებლობის უფლება. ოთხ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გამოყოფილი გვაქვს ცალკე ოთახი, სადაც მათ ბაღში არსებული სათამაშოებით შეუძლიათ, ასევე ქართულ გარემოში, თამაში.

სათვისტომოში ჩამოყალიბდა ცეკვისა და სიმღერის გუნდები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ახალგაზრდების იმ მოზღვაგებაზე, რაც ამ ბოლო პერიოდს ახასიათებს ემიგრაციაში.



ანსამბლი „იბერიის“

გვაქვს ცეკვის შემსწავლელთა 20-30 კაციანი ჯგუფი, ახალგაზრდები ყოველკვირულად მეცადინეობენ. ასევე არის ანალოგიური სიდიდის სიმღერის გუნდი. ორივე გუნდს ხელმძღვანელობენ პროფესიონალი ხელოვანები და უკვე საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. ისინი კონცერტებისა და ფესტივალების არაერთგზის გამარჯვებულები არიან. ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია ურთიერთობები გერმანულ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და მათ ღონისძიებებში გუნდისა და ანსამბლის მონაწილეობა, რაც ქართველი ახალგაზრდების გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრაციის საუკეთესო საშუალება და გზაა.

ასევე გვაქვს ძალიან საინტერესო პროექტი „ქართული სპორტის ქომაგთა კლუბის“ სახით, რომელიც ძალიან ხშირად ახერხებს ქართველი სპორტსმენების გაცეხას, როდესაც მათთვის მოულოდნელად ქართული დროშები იშლება დარბაზებში თუ ტრიბუნებზე და ხდება მათი უსაზღვროდ ემოციური მხარდაჭერა. ვფიქრობ, ეს ამ შორეულ ადგილებში ძალიან მნიშველოვანია



ქომაგთა კლუბის შეხვედრა ფეხბურთულ მათე ღვინიანიძესთან

ქართველი სპორტსმენებისათვის.

სათვისტომოს ერთ-ერთი ძალიან მნიშველოვანი პროექტია „ოპერების“ (Au-Pair) დახმარებისა და მათთვის ხელშეწყობის პროექტი, ანუ იმ ახალგაზრდა გოგო-ბიჭებისა, რომლებიც ოჯახებში ჩამოდიან საშუაოდ. აღნიშნული პროექტი დაარსდა ამ გზა გავლილი ახალგაზრდების მიერ, რომლებმაც თავიანთ თავზე გამოსცადეს ეს პრობლემები. ჩამოყალიბებულ იქნა „ცხელი ხაზი“, მასზე უმეტესად ტირილით რეკავენ გაჭირვებაში მყოფი „ოპერები“ და რჩევებს პროექტის ინიციატორებისაგან იღებენ. თქვენ



Au-Pair-ებისათვის ორგანიზებული საინფორმაციო შეხვედრა

წარმოიდგინეთ, ეს საქმე იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში (პროექტი უკვე 3 წელია ფუნქციონირებს) ისე არ გადის კვირა, რომ ერთმა „ოპერმა“ მაინც არ ითხოვოს დახმარება. ყველა სატელეფონო ზარი იწყება სიტყვებით – მიშველეთ მე ამ ოჯახში ვეღარ გაეჩერები, მე მაქვს უდიდესი პრობლემები, რადგანაც ოჯახი ჩემთვის მიუღებელ ქმედებებს ახორციელებს. არის შემთხვევები, როდესაც „ოპერის“ მხრიდანაც ხდება გაუგებრობების წარმოშობის ხელშეწყობა, ძალიან ხშირად კი ჩვენც გოცებულები ვრჩებით თვითონ ოჯახების მოქმედებებით.

თუკი ახალგაზრდა ოჯახიდან უკვე გამოშვებულია, ხდება მისი ჩამოყვანა მიუნხენში და პროექტში ჩართულ ახალგაზრდებთან დაბინავება. ამის შემდეგ ამუშავდება კონტაქტები, რათა მოიძებნოს ახალი ოჯახი, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში „ოპერს“ საქართველოში იმედგაცრუებულს მოუწევს დაბრუნება, რაც პიროვნულად მისთვის ტრაგედიას ნიშნავს. ამ წუთებშიც, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, ორი ახალგაზრდა, რომლებიც ოჯახებიდან სხვადასხვა კონფლიქტების გამო წამოვიდნენ, სათვისტომოს წევრებთან ცხოვრობენ და ელოდებიან ახალ ოჯახებში გადასვლას.

ამ საკითხს სჭირდება უფრო ფართო მიდგომა, საქართველოშივე საჭიროა ინფორმაციული მუშაობა იმ ბავშვებთან, რომლებიც ფიქრობენ გერმანიაში ამ პროგრამით ჩამოსვლას. როგორც ვხედავთ, მათ, ხშირ შემთხვევაში, არა აქვთ სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა უფლებები აქვთ, რა მოვალეობები ეკისრებათ, რა შეიძლება მოსთხოვოს ოჯახმა და რა უნდა შეასრულონ, ამავე დროს, რა შეიძლება მოსთხოვოს ოჯახმა და უნდა

იცოდნენ, რომ ის არ უნდა შეასრულონ, რადგანაც ეს სცდება მათი მოვალეობების ფარგლებს. მე მინდა დიდი მადლიერებით აღვნიშნო იმ ახალგაზრდების მუშაობა, რომლებიც თავიანთი დროისა და ენერჯის ხარჯზე (ისინი ძირითადად სტუდენტები არიან) ასეთ გაჭირვებულ გოგო-ბიჭებს გვერდში უდგანან.

წელს, სულ რამოდენიმე თვის წინ სათვისტომოში, ასევე ახალგაზრდების ინიციატივით, ჩამოვაყალიბეთ საქართველოში ტურიზმის ხელშეწყობის ჯგუფი, რომელმაც მოკლე დროში დაამტკიცა უკვე ამ მიმართულებით სამუშაოების ჩატარების უდიდესი მნიშვნელობა და საჭიროება. თქვენ წარმოიდგინეთ, სტუდენტი გოგო-ბიჭები უკვე საკმაოდ პროფესიონალურად უდგებიან ამ საკითხს და გვაქვს რამოდენიმე შემოთავაზება თანამშრომლობაზე სხვადასხვა გერმანული საზოგადოებებისა და



ტურიზმის პროექტის წარმომადგენლები მიუნხენის საერთაშორისო გამოფენაზე

ტურისტული ფირმებისაგან.

ეს არის სათვისტომოს პროექტების არასრული სია. მრავალი სხვა პროექტიც ხორციელდება, მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღნიშვნა, შეხვედრები მეცნიერებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, მწერლებთან, სპორტსმენებთან, სათვისტომოს ვებ-გვერდის პერიოდული განახლება, ექსკურსიები, სპორტული ლაშქრობები, დაუგეგმავი პროექტები, როგორცაა, მაგალითად, რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციები და ა.შ., თუმცა აქ მათზე საუბარი შორს წაგვიყვანას.

**- უკვე ორი წელია, რაც საქართველოში არსებობს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. რა ურთიერთობა აქვს გერმანიის ქართულ სათვისტომოს ამ ორგანოსთან?**

- დიდი მადლობა ამ შეკითხვისათვის, მე მინდა პირველ რიგში გამოვხატო ჩემი დიდი კმაყოფილება



იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოში არსებობს ასეთი აპარატი. რაც უფრო დიდი დრო გადის ვრწმუნდები, რომ მანამდე თურმე დიდი სიცარიელე არსებობდა ამ კუთხით ჩვენს სახელმწიფოში და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საკმაოდ კარგად შეავსო იგი. ძალიან ბევრი ქართველია სამშობლოს გარეთ გასული და მათთვის თუნდაც იმის შეგრძნების მიცემა, რომ სამშობლოში მათზე ფიქრობენ, უკვე დიდი რამეა.

ამ აპარატმა პირველი ნაბიჯები ბატონი იულონ გაგომიძის პერიოდში გადადგა და მას საკმაოდ კარგი დასაწყისი მისცა. ბატონი პაპუნა დავითაიას ხელმძღვანელობით ახალი ძალა, ახალი ენერჯია შეიძინა სამინისტრომ და მნიშვნელოვან ორგანოდ ჩამოყალიბდა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ამბოლო პერიოდში არაერთი სერიოზული პროექტი განახორციელა ბიზნესის, მეცნიერების თუ განათლების სისტემის მიმართულებით, იგი აღრმავებს ურთიერთობას უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან და მათ მოზიდვას ცდილობს საგანმანათლებლო არეალში. ამით დიდი საქმე კეთდება. ეს ყველაფერი შეიძლება საქართველოზე დღესვე ისე არ აისახოს, როგორც სხვა მიმართულებები, მაგრამ ეს საქართველოს მომავლისათვის ჩადებული კაპიტალია. ჩვენთვის კი – უცხოეთში მყოფი ქართველებისათვის – მათი ყურადღება დღესვე იგრძნობა და დღესვე არის ძალიან ფასეული და მნიშვნელოვანი.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, დაარსების დღიდანვე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მინდა აღვნიშნო მათი დახმარება ჩვენს ერთ-ერთ საქველმოქმედო პროექტში (თუმცა ეს უფრო „მძიმე შემთხვევა“ იყო, ვიდრე პროექტი). იგი პატარა ბავშვის ავადმყოფობასთან იყო დაკავშირებული და დიასპორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დახმარებითა და ჯანმრთელობის სამინისტროს სწორი მოქმედებით ძალიან მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ინფორმაციული მხარდაჭერა, რომელსაც ჩვენ სახელმწიფო მინისტრის აპარატისაგან ვგრძნობთ. მათი გვერდში დგომა ასევე გამოიხატა საკვირაო სკოლებისათვის წიგნების გამოგზავნაში. გარდა ამისა, მათ შეიმუშავეს პროგრამა პედაგოგთა მომზადებისა, რომლის განხორციელებაც ინტერნეტის საშუალებით არის დაგეგმილი. ჩვენი საცეკვაო ჯგუფისათვის, ანსამბლ „იბერიისათვის“ მინისტრის აპარატმა წელს საცეკვაო ფორმები და საკრავი ინსტრუმენტები გადმოგვცა, რაც, ცხადია, უდიდეს სილამაზეს ანიჭებს „იბერიის“ კონცერტებს.

**- გერმანიის ქართულ სათვისტომოს სხვადასხვა ქალაქებში წამორმადგენლობები - საქალაქო ბიუროები გააჩნია. რა არის საჭირო მსგავსი წამორმადგენლობის დასაფუძნებლად?**

- დაახლოებით ერთი წლის წინ გაჩნდა ასეთი წამორმადგენლობების ჩამოყალიბების იდეა. ამას ხელი შეუწყო სხვადასხვა ქალაქებში ჩვენი სათვისტომოს წევრების არსებობამ და მათმა დიდმა სურვილმა ადგილობრივად განხორციელებინათ სათვისტომოს ტიპის საქმიანობა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თუკინების მიერ ქალაქში 5-10 პიროვნებამდე შეიკრიბებოდა იმ მიზნით, რომ მსგავსი საქმიანობა წამოეწყოთ, ყველანიარად დაუჭერდით მათ მხარს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გამოცდილების გაზიარებით და ჩვენი შესაძლებლობებით. ეს, ჩვენი აზრით, საშუალებას მისცემდა იქ მიმოფანტულ ქართველებს შემოკრებილიყვნენ ასეთი აქტიური ჯგუფების გარშემო საინტერესო და მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებლად.

მსგავსი ბიუროების არსებობა ერთობლივი პროექტების განხორციელების საშუალებას მოგვცემს. მაგალითად, იმის სანაცვლოდ, რომ ბრემენიდან ატირებული „ოპერა“ მიუნხენში ჩამოვიყვანოთ (რაც გარკვეულ დროისა და ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული), რათა აქ ახალი ოჯახის მოძებნას დაელოდოს, ბრემენშივე დაელოდება და იქვე მოხდება ახალი ოჯახის მოძებნა სწორედ სათვისტომოს ბიუროს ხელშეწყობით.

გარდა ამისა, სიამოვნებით შეგვიძლია ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ ყველას, ვისაც საკვირაო სკოლის დაარსება სურს. ამ ეტაპზე ფრაიბურგის ქართველებთან ვაწარმოებთ მიმოწერას, ასევე ლაიფციგში ყალიბდება სკოლა. ჩემის აზრით, ყველგან, სადაც არის შესაბამისი რაოდენობის ქართველი ბავშვი, აუცილებელია საკვირაო სკოლის ჩამოყალიბება.



სათვისტომოს სამუშაო შეხვედრა

ერთობლივი მუშაობის კარგი საფუძველი არის ასევე ქართული სპორტის ქომაგობა. როდესაც რომელიმე ქალაქში სპორტული ღონისძიება ტარდება ქართველების მონაწილეობით, იქ მიუნხენიდან ტრადიციულად ავტობუსებით ჩადიან ახალგაზრდები. ადგილობრივი ქართველების დახვედრა და სპორტული სტუმრობისათვის აგრეთვე კულტურული სახის (მაგ. ქალაქის ღირშესანიშნაობების დათვალიერებით) მიცემა, ჩემის აზრით, საინტერესო უნდა იყოს.

ერთიანობის შემთხვევაში, სათვისტომოს საქალაქო ბიუროები და ასევე არსებული ქართულენოვანი ორგანიზაციები დიდი ძალა იქნება.

**- ბატონო ლერი, თქვენ გაქვთ იდეა ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ ჩამოყალიბებისა. რას ითვალისწინებს და რა ეტაპზეა იგი?**

- „მრგვალი მაგიდა“ უფრო ძველი იდეაა, ვიდრე საქალაქო ბიუროების შექმნა. იგი ითვალისწინებდა ქართული და ქართულ-გერმანული ორგანიზაციების

ერთი, ასე ვთქვათ, მრგვალი მაგიდის გარშემო დასმას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კოორდინირებული მუშაობა.

საქალაქო ბიუროებისაგან განსხვავებით, მრგვალი მაგიდის იდეა მოიცავდა უკვე არსებული ორგანიზაციების ერთ მაგიდასთან შეკრებას. სწორედ მრავალრიცხოვნება ორგანიზაციებისა და მათი მოღვაწეობის მრავალფეროვნება ძალიან კარგ სპექტრს ქმნის გერმანიაში ქართველების არსებობისა და ცხოვრებისა. ეს მრავალფეროვნება შენარჩუნებული უნდა იქნეს, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა რაღაცა სახის კოორდინაცია და „მრგვალი მაგიდა“ ამისათვის ძალიან მისაღებ ფორმად მეჩვენება. ჩემი ყველაზე დიდი ოცნება ქართველების ერთიანობაა და ეს იქნებოდა ამ მიმართულებით გადადგმული ერთი პატარა ნაბიჯი, რითიც ვიტყვით: აქ ქართველები ერთად ვართ ყველა!

ესაუბრა  
ნინო ხაბელაშვილი

## მოგონებები ცხოვლიდან წარსულიდან


გერმანიის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი უხუცესი წევრი, ბატონი ვახტანგ ჩხაიძე 2010 წლის 7 ოქტომბერს 90 წლის გახდა. ბატონი ვახტანგი არამარტო გერმანიის ქართული სათვისტომოს ცოცხალი ისტორიაა, არამედ მსოფლიო ისტორიის იმ ნაწილის მოწმეც, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკა და უამრავი ადამიანის ბედი რადიკალურად შეცვალა. ამ ადამიანებს შორის უამრავი ქართველიც იყო. ნაწილი ისევ დაუბრუნდა მონატრებულ სამშობლოს, ნაწილს კი ეს აუსრულებელ ოცნებად დარჩა. იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ემიგრანტები დაერქვათ და სამშობლოს კვლავ ხილვის იმედით დღეები მასზე ფიქრში გაჰყავდათ. ეს ბედი ხვდა წილად საქართველოდან წამოსულ 21 წლის ექიმს – ვახტანგ ჩხაიძეს. სამშობლო მან დიდი, ძალიან დიდი ხნის შემდეგ კვლავ იხილა, ძალიან შეცვლილი, მაგრამ უფრო ძალიან საყვარელი, ათწლეულების მონატრებული და გულში მაინც ერთადერთ სამშობლოდ დარჩენილი. ამ ადამიანებზე მაშინ არაფერს ვიფიქრობდა, არც იმას ეკითხებოდნენ “შამულის გადარჩენის დიად იდეას” რამდენად ეთანხმებოდნენ. ჩასვეს მატარებელში და ფრონტის წინა ხაზზე გაუშვეს, უკან კი ცრემლიანი ოჯახები და აუსრულებელი ოცნებები დაატოვებინეს. თუმცა ამ ყველაფერზე და იმაზეც, როგორ დასახლდა იგი მიუნხენში და რა ხდებოდა მაშინდელ მიუნხენელ ქართველებში თვითონ ბატონი ვახტანგი გვიამბობს.

თბილისიდან მატარებელი ბაქოს მიმართულებით 1941 წლის 10 სექტემბერს გავიდა. ამ მატარებელში 100 ახალგაზრდა ქართველი ექიმი ვისხედით. ზაფხულში ომი რომ დაიწყო, მოგვიყარეს თავი, დაგვინიშნეს რიგგარეშე ლექციები არდადეგებზე, გამოცდები ჩავაბარებინეს, მოგვცეს დიპლომი და მოგვანიჭეს ექიმის წოდება. მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი კოწია ერისთავი იყო და იმასაც ამბობდნენ, რომ კოწია ამით კომპრომისზე წავიდაო. თითქოს მოსკოვიდან ბრძანება იყო მოსული, რომ ინსტიტუტი დაეხურათ და ყველა სტუდენტი ჯარისკაცებად გავეშვიოთ. კოწიას გავლენა ჰქონდა მოსკოვში, მოახერხა, არ დაეხურა ინსტიტუტი

და ეს საჩქარო ნაკადი გამოეშვა. ბოლოს და ბოლოს ომი ხომ დამთავრდებოდა და ექიმები ისევ საჭირო იქნებოდა. თბილისიდან წამოსულ 100 კაცს, ბაქოში მოგვემატა 100 აზერბაიჯანელი ახალგაზრდა და 200 კავკასიელი ექიმი გამოგვიშვეს ფრონტზე. დიდი შეფერხებებით ჩავვიყვანეს ხარკოვში. იქ იყო საწყობი გენერალური შტაბის ოფიცრებისთვის. ქართველებს რატომღაც საუკეთესო ხარისხის სამხედრო ტანსაცმელი მოგვცეს. რუსები და უკრაინელები სულ გვაგინებდნენ “სტალინკის არლი”-ო ამბობდნენ და მიაყოლებდნენ ხოლმე გინებას. ისინი ფიქრობდნენ, თითქოს იმიტომ მოგვცეს ეს ფორმები, რომ

ქართველები ვიყავით. მერე შუაზე გაგვეს და 50 კაცი გაუშვეს მარჯვნივ, 50 მარცხნივ, ანუ სხვადასხვა მიმართულებით. საით გვიშვებდნენ ჩვენ არ ვიცოდით. მერე კიდევ 25-25-ად დაგვეს, მერე კიდევ ნახევარ-ნახევრად, ისე რომ ბოლოს დაერჩით 2 კაცი ერთად, სერიოჟა (სევერიანი) უჯმაჯურიძე და მე. ჩვენ დაგვნიშნეს 261-ე ფეხოსნთა პოლკის ექიმებად და წაგვიყვანეს პოლკის მიმართულებით. სანიტარული მანქანით მივიღოდით, უკვე სროლა გვესმოდა, კვამლი ჩანდა და ჩვენი პოლკი უკან იხევდა. უკან მოდიოდნენ ცხენებში შებმული ვაგონებით. ერთი ებრაელი ექიმი გვანხლდა, იმან მონახა ჩვენი პოლკი, მათ გადაგვაბარა და თვითონ უკან დაბრუნდა. ეს იყო 1941 წლის 5 ოქტომბერი. სევერიანი ერთ ვაგონში გადაჯდა, მე მეორე მეორეში მძღოლს დაუჯექი გვერდზე. გამოვიდით ერთ მინდორში, დიდი მინდორი იყო 5 კილომეტრის სიგრძის და 2 კილომეტრის სიგანის, მარცხნივ ერთი კილომეტრი გორაკი იყო, მარჯვნივ ერთი კილომეტრი ტყე. ჩვენ შუაში მივიღოდით. მარცხენა მხარეს გერმანელები იყვნენ. უცებ ცხენის თავზე ცეცხლი გამოჩნდა, ამას აფეთქების ხმა მოყვა. ცხენი გაიქცა. ჩვენ გადმოვხტით. ამ არეულობაში სევერიანი დაგვარგე. ეს იყო შუადღე. ხან მივხიზვდით და ხან მივებოდით, რომ ეს ორი თუ სამი კილომეტრი გაგვებინა და ტყეს შევფარებოდით. ხოხვა მანამდე ადვილი მეგონა, თურმე ძალიან ძნელი და დამძლევი ყოფილა. საღამომდე დამჭირდა, სანამ მინდვრის ბოლომდე მივედი. საღამოს სროლა შეჩერდა. მინდვრის ბოლოს იყო ჭაობი, ჭაობში კი ბუჩქები, ბუჩქებზე თუ შედგებოდი, წყალი მუხლამდე გწვდებოდა, თუ გადაგიცდებოდა ფეხი, ყელამდე ვარდებოდი. ის ჭაობიც გავიარე. ერთი რუსი ჯარისკაცი შემხვდა, ჯერ წვერიც არ ჰქონდა ამოსული. გამომელაპარაკა, გაიქცეოდა თუ შეგიძლიათ და დაჭრილი არ ხარო, მითხრა. მე ვკითხე შენ რატო არ გარბიხარ მეთქი. მე არ შემიძლიათ – მიპასუხა. მე ვუთხარი: ექიმი ვარ და მოგეხმარები მეთქი. მე ვერავინ ვეღარ მომეხმარებო – თქვა და გადაწია შინელი. მარჯვენა ბარძაყზე მარტო ძვალი ჰქონდა, არცერთი ნამცეცი ხორცი არ ჰქონდა ზედ, სულ გაშიშვლებული იყო ძვალი. იმას არაფერი აღარ ეშველებოდა...

იმ ჭაობიდან, წყალში და ტალახში გასვრილი, ავედით ერთ გორაკზე, იქ ისევ შემხვდა ჩემი სევერიანი უჯმაჯურიძე. ძალიან გაგვიხარდა ორივეს, გადავხვიეთ ერთმანეთს. ასე 20-30 კაცი ვიყავით. დამდებოდა. ჩვენ ჩვენს პოლკს ჩამორჩენილები ვიყავით. ერთმა რუსმა ლეიტენანტმა მოგვიყარა თავი და მინდვრებს შორის ბუჩქებით წაგვიყვანა სადღაც. დაახლოებით დამის 10 საათზე მივადექით პოლკს. მაგრამ ამ ლეიტენანტმა ჩვენი პოლკის პაროლი არ იცოდა, გვითხრა არ გაუნძრეულიყავით, თორემ რადგან დასავლეთიდან მოვიდოდით მტერი ვეგონებოდით და გვესროდნენ. როგორც იქნა მოახერხა და შეგვიყვანა პოლკში. შვევდით დაღლილები, შუაღამე იქნებოდა, მშობრები



დრ. ვაზგანგ ჩხაიძე

და სველები, იქ ვინც იყო დიასახლისი ქალი საჭმლის მოსატანად წავიდა, მაგრამ ჩვენ წავიქეციით და მაშინვე დაგვეძინა. გაგვადვილეს დაახლოებით დამის ორ საათზე, გამოგვიყვანეს გარეთ და გვითხრეს, მანქანაზე დაჯექით და წადითო. მანქანები გაჭედული იყო, სადაც დაუაპირეთ ასვლა, ყველგან ფეხების რტყვით დაბლა ჩამოგვაგდეს. ბოლოს აღმოვაჩინეთ ერთი მანქანა, ბენზინის ბოცები ეწყო ზედ, იმაზე არავინ არ იჯდა, ავედით და იმით ვიმგზავრეთ დილის 6 საათამდე. რომ გათენდა ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით, მტვრით გვექონდა მთელი სახე დაფარული. ამ დროს ვიყავით ხარკოვის დასავლეთით, ზაპოროჟიეს მხარეს და მივიღოდით აღმოსავლეთით. დასავლეთიდან მოგვედევნა გერმანელები. დილის 6 საათზე გაჩერდით ერთ შარავანზე. გზის მარცხნიდან სამხედროების ერთი ჯგუფი გადმოვიდა, ასე 10-15 კაცი, წინ რუსი გენერალი მოუძღოდათ. ჩვენგან მოშორებით ჭიშკარი იყო, ის შეაღო, მაგრამ შესვლა გადაიფიქრა, შემოგვეხედა, მოვიდა ჩვენთან და გვეკითხება თქვენ ვინ ხართო. ჩვენ ვუთხარით, თქვენი ნაწილი და გზაში ჩამოგრჩითო. დახვრიტეთო – ბრძანება გასცა და შეიგინა. ვილაცამ ჩვენი მიმართულებით გაისროლა კიდევ. ამ დროს მოვიდა ერთი კაცი, გენერალს რაღაც უთხრა და გამოგვიყვანა მე და სევერიანი იქიდან. ეს იყო დივიზიის კომისარი. რა ისაუბრეს ჩვენ ვერ გავიგეთ, მაგრამ ჩვენი ადგილზე დახვრეტა გადაიფიქრეს. გამოგვკითხა ვინ ვიყავით და იქრას ვაკეთებდით. გვითხრა, რომ გენერალს დაუელაპარაკებოდა და იქნებ თქვენი დახვრეტის ბრძანება უკან წაიღოსო. დროებით უკან დაგვაბრუნეს. მერე გვითხრეს, რომ გვარები გამოიცვალეთ და დაიძალეთ, თორემ ბრძანებას მაინც შეასრულებენო. მაგრამ ვერ მოგვაგნეს და ის გენერალი თვითონ დაიღუპა ერთი

კვირის შემდეგ.

იქიდან წამოვედით და მოვადექით როსტოვს. როსტოვში დიდი პანიკა იყო, გერმანელები ახლოს მოსულიყვნენ. მოსახლეობას გერმანელების შიშით ხიდები აუფეთქებინათ, ყველაფერი გაუძარცვათ, სპირტულობა მოუპარათ. ამ ცარიელი სპირტის კასრებისგან გააკეთეს ხიდი, რომლითაც გადავდით დონის აღმოსავლეთ ნაპირზე, სადაც ჩვენი პოლკის მეთაური ვნახეთ. მაიორი შეეჩენკო. იმას თავისი პოლკიდან შერჩა მხოლოდ 95 კაცი, რის გამოც ამ პოლკს რეფორმირება გაუკეთეს, მაორი შეეჩენკო როსტოვში დარჩა, როგორც ადგილის კომენდანტი, ჩვენ სხვა შენაერთებში გაგვანაწილეს. წაგვიყვანეს სიმფეროპოლში, სადაც ის პოლკიც მალევე განადგურდა, რომელშიც გადაგვიყვანეს. თავიდან იქ რომ ჩავედით, ვიფიქრეთ ცოტა ხანს მოვისვენებთო. მელიტოპოლი წინა დღეს აიღეს და გვეგონა სიმფეროპოლს ვედარ აიღებდნენ ასე მალე. გაგიგონია? უცებ ვხედავთ სიმფეროპოლის გორაკზე დგას სამი გერმანული ტანკი და ისვრიან გზაზე. ატყდა პანიკა და მთელ ქალაქს უნდოდა გაქცევა. სიმფეროპოლიც აიღეს. ამის მერე საარტილერიო პოლკში აზოვის ზღვასთან გადაგვიყვანეს, იქ ვიყავით მთელი ზამთარი. 1942 წლის გაზაფხულზე, გადაგვიყვანეს ხარკოვთან ახლოს. აქ იყო ტიმოშენკოს არმია 70 კილომეტრით შეჭრილი გერმანელების მიერ გაკეთებულ რკალში. მათ უნდოდათ, რომ გერმანელების ეს ნაწილი მოეწყვიტათ ძირითადი შენაერთიდან. სამი დღის განმავლობაში იყო შეტევა. 18 მაისს ჩვენი საარტილერიო პოლკი სადამოს უკან რომ ბრუნდებოდა, ყველაფერი გაწითლდა, გამოიჭრნენ გერმანელები 400 ტანკით, მოუჭრეს ტიმოშენკოს გზა და ტიმოშენკოს არმია ტყვედ ჩავარდა. 10 დღის განმავლობაში დღისით ვიძალებოდით და ღამე გავბოდით აღმოსავლეთით. ბოლოს ცოტა დარჩა, მაგრამ ამ დროს გერმანელები თავს დაგვესხნენ 200.000 ადამიანი ტყვედ ჩავარდა და ძალიან ბევრი დაიხოცა. ეს იყო ჩემი მესამე ალყა. ოთხჯერ გამოვედი ალყიდან მესამედ ვედარ და ტყვედ ჩავარდი.

კრემლში უკმაყოფილოდ მათარებლობით მიგვიყვანეს ტყვეთა ბანაკში. გზაში ტყვეების ნახევარზე მეტი დაიღუპა შიმშილით და წყურვილით. მე როგორღაც გადავრჩი და ჩავადწიე. იქ ტყვეთა ბანაკში ერთ-ერთი განყოფილების ექიმად გამიშვეს. იფინისი, იფლისი და აგვისტო იქ ვიყავი. აგვისტოში მოვიდა ქართველების ჯგუფი და გვითხრა ვისაც აქედან წამოსვლა გინდათ წამოდით და გერმანული მხარის ქართულ ლეგიონში შედითო. აქ დარჩენით სიკვდილს ვერაფრით ვერ ავცდებოდით. ეს იყო სასიკვდილო ბანაკი, აქ ვინც მოყავდათ უნდა მომკვდარიყო. ას გრამ პურს და ბალანდას გვაძლევდნენ. ბალანდას ვერ ვჭამდი, იმიტომ რომ ნახევარი თავგის ცურცლი იყო შიგ. მაინც უნდა მოემკვდარიყავით და რას გვაჭმევდნენ რა მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ყველანი ვიყავით “უნტერმენშებ”. მიუხედავად იმისა, რომ

სულ ახალგაზრდები ვიყავით, ყოველდღე იღუპებოდა უამრავი ხალხი. ამდენ ხალხს საკონცენტრაციო ბანაკში ვერ გადაიყვანდნენ და ერთად რომ დაეხოცათ, ტრანსპორტირებას ვერ გაუკეთებდნენ. ამიტომ ასე ვყავდით მშვირები და ვინც როდის მოკვდებოდა, მოკვდებოდა. სამი თვე ვიყავი იქ და კიდევ ორ კვირას თუ გავძლებდი. ქართულ ლეგიონში გადასვლას რომ არ დავთანხმებოდი, მეც იგივე დღე მქოლოდა. იქიდან რომ წამომიყვანეს მარტო ძვალი და ტყავი ვიყავი, არც ჯდომა შემძლო დიდხანს არც დაწოლა. წაგვიყვანეს მირგოროლში, ტარას შეეჩენკოს მამულში. იქ მოგვცეს ერთი “ბუხანკა” პური, ნახევარი გირვანქა კარაქი და ერთი “კატილოკი” სუპი. ის ადგილზე გავთავეთ ყველამ, ერთი ნამცეცი არავის არაფერი დარჩენია. ჩამოყალიბდა ქართული პოლკი და თებერვალში ჩამოგვიყვანეს გერმანიაში, ნოიჰამერში. იქ ორი ექიმი და სამი სანიტარი აგვიყვანა ერთმა და გვაპუშაგებდა სარუხერვო ლაზარეთში, რომლის ექიმიც იყო ალიოშა საყვარელიძე. მის შესახებ ამის მერე არაფერი მსმენია. სანიტრები იყვნენ სვეტიან უჯმაჯურიძის ბიძაშვილი სიმონა უჯმაჯურიძე, ნოდარი ხონდელიძე და დათიკო ბუცხრიკიძე ქუთაისიდან. ცოტა ხანს იტალიაში ვიყავი, ლეგიონერების დასასვენებელი სახლის ექიმად, იქიდან 1944 წლის ნოემბერში გადაგვიყვანეს შტეტტინის ჩრდილოეთით ნახევარკუნძულ “ალტ ვარპ”-ზე. იქ იყვნენ ექიმები აღმოსავლეთიდან: რუსები, თათრები, აზერბაიჯანელები, უზბეკები. იმ ბანაკიდან წამოვედით 13 თებერვალს და სადამოს ჩამოვედით დრუზდენში. სადამო იყო, უკვე უნდა დაეწოლილიყავით, განგაში რომ ატყდა და დრუზდენის დაბომბვა დაიწყო. ჩვენ ვიყავით “ნოიშტატში” (ქალაქის ახალნაწილში), სადაც ყაზარები იყო. ამერიკელებმა და ინგლისელებმა დაბომბეს “ალტშტატი” (ქალაქის ძველი ნაწილი) და ამიტომ ჩვენ გადავრჩით. “ნოიშტატიდან” “ალტშტატამდე” 10 კილომეტრი იყო. 10 დღის მერე ქალაქში რომ გავიარეთ, ეს გზა სულ მკვდრებით იყო სავსე. მიცვალებულები ქუჩაში ელაგა, არავინ იყო მათი მომვლელი. ისე გადაწვადმოწიეს ისინი, გზა რომ გათავისუფლებულიყო და შუაში გაგველო. იქიდან წამოვედით, ვიარეთ ბევრი და ბოლოს ცვიზელზე, ჩეხეთის და ბავარიის საზღვარზე შეგვხდნენ ამერიკელები და ახლა იმათთან ჩავვარდით ტყვედ.

ამის მერე, როგორც კი შესაძლებლობა მომეცა რეგენსბურგში ჩავედი, იქ სამხედრო მთავრობასთან იყო ჯანმრთელობის განყოფილება და იქ ვკითხე, ჯანმრთელობის მაიორს (ასე ერქვა), თუ მომცემდნენ საშუალებას, რომ მემუშავა ექიმად. სახლში არ გინდა წასვლა? – მკითხა. არა მეთქი – მე ვუთხარი. კლინიკა როგორ გავხსნა, მეთქი ვკითხე, მტრედებთან ერთად ვცხოვრობ სახურავზე. ის მომხმარა სამსახურის მოძებნაში და დაუიწყე მუშაობა ექიმად. დიდი ხნის შემდეგ, 1956 წლის ზაფხულში, ჩემი განყოფილების ფანჯრიდან ვხედავ, მოვიდა ერთი კაცი მანქანით,

გადმოვიდა და შემოვიდა პირდაპირ შენობაში. ეს კაცი ძალიან მეცნობა, ვინ არის ვფიქრობ, ვერაფრით ვერ მოვიგონე. ნახევარი საათის მერე მოდის ჰოსპიტალის უფროსთან ერთად. შემოვიდა და მომესალმა, სახელი რომ თქვა კი ვიცანი, ეს იყო ის ჯანმრთელობის მაიორი, ვინც მე 11 წლის წინ სამსახური მომცა. ამ დროს იყო მიუნხენში ამერიკული ჰოსპიტალის უფროსი და შემომთავაზა, რომ მასთან წამოვსულიყავი მიუნხენში სამუშაოდ. ჩამოვედი მიუნხენში, მივედი განყოფილებაში, მითხრეს, რომ ადგილი არ გვაქვს მოქალაქე ექიმებისთვისო. წავედი ისევ უკან. დამირეკა მერე ამ მაშინდელმა ჯანმრთელობის მაიორმა, რატომ არ მოხვედით. მე ვუთხარი ვიყავი და არ მიმიღეს-თქო. ეგ როგორ – მითხრა. ჩამოვედი ისევ მიუნხენში, კიდევ მივედი განყოფილებაში, ისევ მითხრეს ადგილი არ გვაქვსო. მერე მიცნო მდივანმა ქალმა, რაშია საქმეო მკითხა, მე მოუყევი. იმან სადღაც დარეკა და 5 წუთის მერე მეუბნება, წადი ამა და ამ განყოფილებაში, დაელაპარაკე ამა და ამ კაცსო. მეც წავედი, იმას არაფერი არ უკითხავს, მითხრა, როდის გინდა მუშაობის დაწყებაო, მე ვუთხარი 1 სექტემბერს მოვალ მეთქი, იმანაც კიო და ასე გადმოვედი მიუნხენში და იმის მერე აქ დავრჩი.

საქართველოში დაბრუნებას რაც შეეხება, მაშინვე მიხლოდა, ომის დამთავრების შემდეგ, დაუყოვნებლივ ერთი ქალი გავიცანი, მიხლოდა ჩემი ცოლი გამხდარიყო, ისიც თანახმა იყო. ვიცოდი, რომ დაგვამორებდნენ და დედაჩემს და ბიძაჩემს მივწერე წერილები, რომ ის ჩემი საცოლეა, თქვენთან ვუშვებ და ყურადღება მიექცეთ-მეთქი. ჩვენ ერთად საქართველოში არავინ არ გაგვიშვებდა, არავინ არ დაგვიჯერებდა მაშინ რომ შპიონები არ ვიყავით. მოვიცადოთ ცოტა ხანო, ვფიქრობდით. ამ მოცდაში კი ჩამოვიდა იმის დანიშნული, რომელიც მანამდე ყველას დაკარგული ეგონა იქორწინეს და თავის სამშობლოში დაბრუნდნენ. მე კი შესმოდა რას უშვებოდნენ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში გერმანიიდან დაბრუნებულ და ლალატში ეჭვმიტანილ ხალხს. კოლონებით ხვრეტდნენ. შეწყალება გამორიცხული იყო. ის კი ვიცოდი, რომ ციმბირში გამიშვებდნენ, მაგრამ იქიდან ჩამოსვლის შანსიც ძალიან ცოტა იყო. ამიტომ ვიცდიდი და ვიცდიდი. დედაჩემმა მომიყვა დიდი ხნის შემდეგ ჩემთან რომ ჩამოვიდა, მეზობელი კომუნისტები მიდიოდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ვახტანგი არ ჩამოვიდეს საქართველოში, თორემ არ აცოცხლებენო. მერე ცხოვრებამ თავისი გაიტანა, ყველაფერზე უარს ვერ იტყვის ადამიანი, აქ დავოჯახდი, შვილები გაგვიჩნდა და შემოვრჩი ასე.

1960 წელში შვედეთში ჩემი ინსტიტუტის დირექტორს, კოწია ერისთავს. გერმანიაში იყო ინტერნაციონალური ქირურგების კონგრესზე. ეგ და აპალო ხუნდაძე. დავპატიჟე კინოში. კოწიამ თქვა, 25 წლის რომ ვიყავი, სპარსეთში ვიყავი ექიმად და იმდენი ოქრო მქონდა,

სად წამელო არ ვიცოდიო. რა ქვეყანაში ვცხოვრობო ახლა, კინოს ფულიც რომ სანატრელი გვაქვსო. იმათ ვკითხე, რა იქნება რომ ჩამოვიდე საქართველოში მეთქი. აპალოს უთხრა, უყურე ამასო, კარგად ცხოვრობს, კარგი სამსახური აქვს, მანქანა ჰყავს, ყველაფერი აქვს და მაინც საქართველოში ჩამოსვლა უნდაო. იმან მითხრა, მოიცადე ცოტა ხანო, მაშინ აიხენჭაუერის და ხრუშჩოვის შეხვედრა იყო პარიზში. ნახე რაზე შეთანხმდებიან და მერე იფიქრე წამოსვლაზეო. ამ დროს ხრუშჩოვმა ამერიკელების თვითმფრინავი ჩამოაგდო და კედელიც მაშინ გაკეთდა, ისე რომ 90-იან წლებამდე ამაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა.

1994 წელს ჩავედი დიდი ხნის შემდეგ პირველად საქართველოში. ასლან აბაშიძემ მიიწვია ჩემი შვილი ასლანი, როგორც არქიტექტორი ბათუმში, სანაპიროს დასაგეგმარებლად და მეც მასთან ერთად. კარგი გეგმა იყო, მაგრამ მისი განხორციელება სამწუხაროდ არ მოხერხდა. ჩავფრინდით თბილისში, თბილისიდან მანქანით წავედით ბათუმში. სამი დღე ვიყავით ბათუმში, ორივე ასლანმა დაათვალიერა ერთად სანაპიროები. ქობულეთში ვცხოვრობდით. ასლანმა ბათუმიდან თავისი მანქანით, დაცვის და ერთი პოლიციელის თანხლებით წავვიყვანა ჩემს სოფელ აცანაში და აცანიდან თბილისში. გამოვიარეთ ლანჩხუთში კლინიკაში, სადაც ჩემი მეგობარი ვნახე – კუკური იმნაძე, ჩემთან ერთად რომ სწავლობდა საშუალო სკოლაში და ინსტიტუტშიც. საშუალო სკოლაც ვნახე. აცანაში კიდევ ბევრს შევხვდი. ბევრი უკვე გარდაცვლილი დამხვდა. თინა ბოლქვაძე იყო ჩემი მეგობრის და, მაგრამ 5 წლით უმცროსი იყო ჩემზე, მე თვითონ ვიყავი 21 წლის როცა წამოვედი და ის, ალბათ, 16 ის იყო. თინამ რომ გაიგო ლანჩხუთში, რომ აცანიდან თბილისში მივდივარ, ფეხით ჩამოვიდა შუხუთში და გზაზე დაგვხვდა, რათა ხუთი წუთით მომსალმებოდა. 55 წელი იყო მას შემდეგ გასული, რაც მე საქართველოდან წამოვედი. კარგი იყო ძალიან საქართველოში.

**(აცრემლებული ბატონი ვახტანგისთვის ფიქრი რომ სხვა მიმართულებით გადამეტანინებინა, გერმანიაში მცხოვრებ ქართველებზე ჩამოვუგდე სიტყვა, მათ აქაურ ქართულ ცხოვრებასა და სათვისტომოზე.)**

ძალიან კარგი ხალხი იყო აქ, ერთმანეთს ძალიან ვედექით მხარში. სულ თავიდან სათვისტომოს პირველი თავმჯდომარე სანდრო კორძაია იყო, ფოთის ქალაქის თავი, ძალიან ცნობილი კაცი. მისი მეუღლეც კარგი ქალბატონი იყო, დიდი დაფასება ჰქონდათ. ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ მაშინდელ ქართველებს. შუამდგომლობდნენ პოლიციასთან და სხვადასხვა საზოგადოებასთან. ეუბნებოდნენ ვისთან მისულყვენ და რა გაეკეთებინათ. უმრავლესობა მაშინდელი ქართველებისა ძველი ემიგრანტები იყვნენ, პროფესორი მიხაკო წერეთელი, გიორგი მაღალაშვილი, ანდრონიკაშვილი და კიდევ ბევრი, ყველა თავადები იქნენ ჩემს გარდა. ისინი მიუნხენში ბერლინიდან

ჩამოვიდნენ. ეს იყო ხალხი, რომელსაც საქართველოში ჩასვლის ყველა გზა მოუჭრა მაშინდელმა მთავრობამ. მაშინ პოლიტიკის ყველას ეშინოდა, უფრო მეტი იმახდა რომ სათვისტომო აპოლიტიკური გაერთიანება იყო, მაგრამ პოლიტიკაზე ძალიან ბევრს ვფიქრობდით. 70 თუ 80 ქართველი იყო მაშინ აქ. მერე ყველა გაიფანტა, ზოგი ამერიკაში, ზოგი არგენტინაში და ავსტრალიაში წავიდა.

ყოველ კვირას ერთად ვიყავით მაშინდელი ქართველები – ნიკო, კარლო ინასარიძე მისი ცოლით და შვილებით, დათიკო. ერთ კვირა დღეს ნიკო არ მოვიდა. გაგვიკვირდა ძალიან. დავურეკე სად ხარ მეთქი – ვკითხე. ისინი მოვიდნენო? შეარცხვინოთ ღმერთმაო. არ გამოუარეს ამათ. მე ვუთხარი, მე მოვალ მანქანით და წამოგიყვან მეთქი. არაო, მე თვითონ მოვალ. არც კვირას მოვიდა, არც ორშაბათს და არც სამშაბათს. ოთხშაბათს პოლიციამ გააღო მისი სახლის

კარი. შევედი შიგნით, იწვა პირდაღმა და ხელში ეჭირა ნიტროგლიცერინის ტაბლეტი, რომელსაც სვამდა გულისთვის. პირს იპარსავდა კვირას მე რომ დავურეკე, რომ გამზადებულიყო და ჩვენთან მოსულიყო. ამ დროს გარდაიცვალა. ჩვენ დავბერდით და ხალხი გამოგვეცვალა. სათვისტომოც დაბერდა და სიკვდილზე იყო მიმდგარი. ბოლო წლებში არსებობდა მხოლოდ ინერციით. საქართველოსთვის კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ჰქონდეს მჭიდრო კავშირი დასავლეთთან. ამ კავშირისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი არის სათვისტომო, ამიტომ ძალიან სასიხარულოა, რომ დღეს სათვისტომო ისევ მყარად დგას ფეხზე და ახალი ძალებით ემსახურება საქართველოს ევროპასთან დაახლოების მიზანს.

მოამზადა  
თინათინ ჩითინაშვილმა

# მიუნხენელ ქართველებთან

გთავაზობთ ამონარიდს პროფესორ ბ შრამ შარაძის სამტომეულიდან „უცხოეთის ცის ქვეს“. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ წიგნი “სამშობლოს მკვრიდან მოკვეთილ ღირსეულ შვილებზე, რომელთაც თავიანთი ნიჭი და უნარი თავისი ქვეყნის ერთგულებას, სიყვარულს და მის უკეთეს მერმისზე ფიქრს შეაღიეს”. რუბრიკაში “მიუნხენელ ქართველებთან” ბატონი გურამი მიუნხენში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს. დღეს გვინდა თქვენი ყურადღება გერმანიის ქართული სათვისტომოს საპატიო თავმჯდომარეზე, ბატონ ქრისტეფორე კირაკიტაძეზე შევჩეროთ.

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მოღვაწეთა გამოფენის (დირექტორი თენგიზ კეკელიძე) შეიქმნა საერთაშორისო ფირმა „ასტ ინტერნაციონალი“, რომელშიც, გარდა დასახლებული გამოფენისა, გაერთიანდა დასავლეთ გერმანული ფირმა „ახორნი“ (დირექტორი ანდრეას რიხტერი) და საქართველოს სსრ „ექსპოსერვისი“ (თავმჯდომარე ნიკოლოზ ორქოშნელი). „ასტ ინტერნაციონალის“ თავმჯდომარეა თენგიზ კეკელიძე. ფირმა მიზნად ისახავს სიმპოზიუმების, საერთაშორისო გამოფენების, ბაზრობების მოწყობას, კულტურულ-მეცნიერული პროგრამების გაცვლას. ამ მხრივ, მას პირველი სერიოზული წარმატებები უკვე აქვს მოპოვებული. სწორედ „ასტ ინტერნაციონალის“ მეოხებით საშუალება მომეცა 1989 წლის აპრილში გაემგზავრებულიყავი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. კერძოდ ჩემი სამუშაო პროგრამა ითვალისწინებდა ჩავსულიყავი მიუნხენში, ჰამბურგსა და გეტინგენში, რათა კონტაქტი დამემყარებინა იქაურ ქართულ ემიგრაციასთან და

მეზრუნა მათი უმდიდრესი არქივების საქართველოში ჩამოსატანდ. ამისთვის, ასე ვთქვათ, წინასწარ მომზადდა ნიადაგი, სასხელობრ, გაზეთებში „კომუნისტში“, „თბილისში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „სახალხო განათლებაში“, „სამშობლოში“, გამოქვეყნდა ჩემი წერილები ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე (მწერლობაზე, მეცნიერებზე, პოლიტიკურ მოღვაწეებზე). ამ პუბლიკაციებმა მე იქ ჩამისწრეს და ნდობის ხიდი გასდეს, ჩვენი გაცნობა დაუსწრებლად შედგა...ბარემ აქვე ვიტყვი, რომ სამშობლოში წამოსადებად უკვე მიუნხენში იქაური ქართველების სულგრძელობისა და უშურველობის წყალობით იმდენი ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი თუ ჟურნალ გაზეთები დამიგროვდა, რომ ჰამბურგსა და გეტინგენში ვეღარ ჩავედი, არადა, ჰამბურგში (იტცეპოეში) მელოდა შეხვედრა ცნობილ მოღვაწე ნიკოლოზ ჯანელიძესთან, ხოლო გეტინგენში სახელგანთქმული ქართველი მეცნიერი ჰიდრაგლიკოსის, აწ განსვენებულ პროფესორ ივანე ნიკურაძის ოჯახში

უნდა გამეცნო მისი მდიდარი მეცნიერული არქივი.

ჩემი ჩასვლა მიუნხენში დაემთხვა ქართველი ხალხის დიდ მწუხარებას - 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიაში ხომ მთელი მსოფლიო შეძრა და რაღა თქმა უნდა, მიუნხენელმა ქართველებმაც, შეძრწუნებულებმა ამ ამბით, ადარ იცოდნენ ჩემთვის მოესამძიმებინად თუ თავიანთი თავისთვის. წინასწარ გეტყვი, მათ მიუნხენში პარაკლისი გადაიხადეს და სულის მოსახსენიებელი სუფრა გაშალეს თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა მოსაგონებლად. აქ მოვიდნენ იქაური ქართველები: ქრისტეფორე კირკიტაძე, ვახტანგ ჩხაიძე, კარლო ინასარიძე, სოსო ჟორჯოლიანი, იონა მთვარაძე, ექვთიმე ენდელაძე, თამარ გველაშვილი, თამარ ჩოფიკაშვილი, ანელიზე კუჭუხიძისა და სხვები თავიანთი მეუღლეებით, შვილებით, ოჯახის წევრებით... მათ მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, ყველას თვალეში ცრემლები კიაფობდა, სამძიმრისა და თანაგრძნობის ყელში ბურთივით მოწოლილი ნალექი ახრხობდა...

უნდა ითქვას, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძლიერი ქართული სათვისტომო არსებობს, რომლის თავმჯდომარეა მიუნხენში მცხოვრები იურისტის ქრისტეფორე კირკიტაძე - წარმომბოთი ტყიბულელი, სოფელ მუხურადან. მას მიუნხენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუმთავრებია. ცოლად ყავს გერმანელი ქალი ტერეზა - მშვენიერი მოქართულე, ორი ვაჟის პატრონია, ერთს ბაბუის სახელი - სვერიანი ჰქვია, ხოლო მეორეს - მამის ბავშვობისდროინდელი მოფერებითი სახელი - ბაჭუა. ესენიც იურისტები არიან მხოლოდ, ოღონდ ამთავან უფროსს - სვერიანს ცხრა თვე თბილისის უნივერსიტეტში უსწავლია, ფილილოგიის ფაკულტეტზე და სიყვარულით იხსენებს აქაურ პროფესორ-მასწავლებლებს, განსაკუთრებით პროფესორ ნეთელა ქუთელიას...ძმებში სვერიანი ქართულს თავისუფლად ფლობს, ბაჭუას კი უფრო უჭირს, მაგრამ მონდომებულია უკეთ იცოდეს მშობლიური ენა. სვერიანი, დაცოლშვილებულია, მისი პირმშო - გიორგი კირკიტაძე სულ რამდენიმე კვირისაა...

ქრისტეფორე კირკიტაძეს 60-ან წლებში ორი თვით მიუნხენში სტუმრად მიუწვევია მოხუცი დედ-მამა ტყიბულის მუხურადან. მშობლებს ძლიერ გაუხარიათ ამდენი ხნის უნახავ შვილთან და მის ოჯახთან შეხვედრით, უცხო ქვეყანაში მისი შესანიშნავად მოწყობილი სახლ-კარის ნახვითაც ძლიერ ისიამოვნეს...მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ქართველ გლეხკაცს თურმე საშინლად მოუწყენია. შვილს უფიქრია, ალბათ მამას სამშობლო მოენატრაო, არც უმაგისობა იყო, მაგრამ ერთი თვის თავზე გამოირკვა, რომ ნამდვილი მიზეზი სხვა ყოფილა: ერთ დღეს, იგონებს ბატონი ქრისტეფორე, - შემოვიდა სახლში გახარებული მამაჩემი და გადაამეხვია. გამიკვირდა, რა გაუხარდა მამაჩემს ამისი ფასი მიუნხენში ყოფნის ერთი თვის თავზე-მეთქი.

-შვილო, დამნაშავე ვარ შენთანო, - მეუბნება მამაჩემი. ჩემი გაოცების პასუხად მითხრა: აქამდე მოწყენილი

იმიტომ ვიყავი, რომ ვხედავდი, არცერთი მეზობელი არ გეძახის, არც გეპატიჟება, არც მოგიკითხავს, ვიფიქრე, ვაი, რა ცუდი შვილი გამიზრდია, რომ სამეზობლოდ არ გამომდგარა და კარის მეზობლები მასთან უბრად არიან-მეთქი, მაგრამ ერთი თვის მანძილზე რომ გაკვირდებოდი, დაგინახე და დაურწმუნდი, რომ მაგენი ერთმანეთშიც მასე ყოფილან, ჩვენებური მეზობლობა არ სცოდნიათ და შენ არაფერ შუაში ხარო.

ახლა მეორე ამბავს მოგიყვებით, - მეუბნება ბ-ნი ქრისტეფორე: ერთ დღეს კარის მეზობლიდან წერილი მომივიდა. რას გწერსო - შემეკითხა მამაჩემი. ოჯახის წევრი გარდაცვლია-მეთქი - ვუპასუხე. უიმე, ჩემი სიკვდილი, წავიდეთ ახლავე სამძიმარზეო, - აქოთქოთდა დედაჩემიც. არ შეიძლება-მეთქი, - დაუამშვიდე დედ-მამა. - აქაური წესით მხოლოდ დაკრძალვის დღეს და ისიც, ეკლესიაში უნდა მივიდეთ ჭირისუფალთან-თქო. ვერაფერი წესი გქონიათო, - წყენით მითხრა მამაჩემმა.

ქრისტეფორე კირკიტაძეს მიუნხენთან ახლოს, სოფელში კარგი სახლი და მამული გაუშენებია, მარანში ჭურებიც ჩაუყრია (მეც შემომთავაზა მისი ნახვა, მაგრამ უდროობის გამო ვეღარ წავედი) და მშობლიური სოფლის მოსაგონებლად მისთვის "ახალი მუხურა" დაურქმევია. ჰოდა, ერთ დღეს, - განაგრძობს თხრობას ბ-ნი ქრისტეფორე, - წავიყვანე ახალ მუხურაში მამაჩემი, ვფიქრობ, თავი მოვაწონო, მარანში ჩავიყვანო, საგსე ჭურები ავხსნა, აქაური ღვინის გემო გავასინჯო... მართლაც, ჩავედით მარანში, მოგხსენით თავი საგსე ჭურს და ჭაშნიკად ჭიქით ღვინო მივაწოდე. მამაჩემმა ჭიქა ოდნავ მოწრუპა და ხმადაბლა მითხრა: ამისთანა ღვინოს თუ ჩაასხამ, ჭურები მართლა ქე გექნება საგსეო! ტანში გამაცვივა, მაგრამ რაღა დროს, - იცინის ბ-ნი ქრისტეფორე და თან თვალეში მომდგარ ცრემლს ვამჩნევ ახლა უკვე გარდაცვლილ მშობლებს მოგონებაზე...



ქრისტეფორე კირკიტაძე საქართველოში ვიზიტისას შეხვედრა პატრიარქთან

**ალექსანდრა აბხაზი**  
**კინომრეწველობის პირველი სტატიისტიკოსი**

(მანგლისი, 1893 - ვისბადანი, 1957)

**ლაშა ბაქრაძე**

1925 წელს გერმანიაში გამოიცა წიგნი „ფილმი ციფრებსა და რიცხვებში“ (Der Film in Ziffern und Zahlen), რომელსაც იმთავითვე სპეციალისტებისა და პრესის დიდი ყურადღება ხვდა წილად. ამ ნაშრომს კინოს მკვლევარნი დღესაც გვერდს ვერ უკლავან. იმავე ავტორის – ალექსანდრე იაზონის – წიგნების „კინომრეწველობის ცნობარზე“ (Handbuch der Filmwirtschaft) 3 ტომი (ბერლინი, 1929, 1931, 1932), „კინოს ცნობარზე“ (Handbuch des Films), რომელიც მე-4 ტომად ითვლება (ბერლინი, 1935) და „კინოწარმოება გერმანიაში 1935–1939“ (Das Filmschaffen in Deutschland 1935-1939), (ხელნაწერის სახით, 2 ტომი, ბერლინი, 1940) ციტირება ხშირია ლიტერატურაში. გერმანიის ყველაზე გავლენიანი კინოჟურნალი „Filmkurier“ (N.139, 4.11.1943) სტატიაში „კინოს სტატისტიკოსი – დოქტორი ა. იაზონი 50 წლისაა,“ წერდა: „ამავე დროს ოცი წელია რაც ის კინოსტატისტიკაში მუშაობს. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: რომ მან კინომრეწველობის ეს დარგი არაფრიდან დაარსა. დრ. იაზონი კინოსტატისტიკის, რომელიც კინომრეწველობის მნიშვნელოვან დამხმარედ იქცა, ჩამოყალიბებას ისეთი ენერგიით შეუდგა, რომ მათ, ვისაც ეს დარგი, განსაკუთრებით საწყის წლებში, ძალიან შორეულად მიაჩნდათ, ამ სამუშაოს აზრი ვერც გაიგეს. ...დღეს ამ სამუშაოს ფასი, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ ქმნილებად შეიძლება ჩაითვალოს, ეჭვგარეშეა და საზოგადოდ აღიარებულია.“

ზემოხსენებული წიგნებისა და 500–ზე მეტი საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიის ავტორის ნამდვილი გვარია აბხაზი.[ი] მისივე ხელით 1938 წელს მწერლობის საიმპერიო პალატისათვის (Reichsschrifttumkammer – საბჭოური მწერალთა კავშირის მსგავსი ორგანიზაცია) დაწერილი ბიოგრაფიიდან[ი] ირკვევა, რომ მას ფსევდონიმი იაზონი ბიბლიისის, გენერალი კოტე აფხაზის, თბილისი გუბერნიის თავადაზნაურობის ბოლო მარშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლის, ბოლშევიკების მიერ დახვრეტის შემდეგ აუღია, რათა საშობლოში დარჩენილი ნათესავებისთვის კიდევ უფრო არ გაერთულებინა ცხოვრება. ის კოტეს (კონსტანტინეს) ძმის, გიორგი აბხაზის მესამე ვაჟია. კოტე და გიორგი კი ილია ჭავჭავაძის დისწულები არიან.

დედა – ალექსანდრა მურომცევა, რუსულ–გერმანული არისტოკრატიის წარმომადგენელია, დედის მხრივ ფონ ბენკენდორფების შთამომავალი.

ალექსანდრე 1910 წლამდე მანგლისის მამულში იზრდებოდა. 1910–1913 წლებში თბილისის მე-5 ჰუმანიტარულ გიმნაზიაში სწავლობდა, 1913–1917 წლებში კი იურისპრუდენციას სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა. 1917 წელს სწავლობდა პეტერბურგში კონსტანტინეს არტილერიის სკოლაში. 1918 წელს საქართველოს არტილერიის ლეიტენანტობა მიენიჭა. 1918–1920 წლებში აზერბეიჯანში საქართველოს საელჩოს დაზვერვის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1920 წლის მაისში, იმ დროს, როცა აზერბაიჯანი რუსეთის წითელმა არმიამ დაიპყრო, ჩეკას ჩაუვარდა ხელში. გათავისუფლებულ იქნა რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდო ხელშეკრულების დადების შედეგად. 1920 წლის აგვისტოში არტილერიის კაპიტნის წოდება მიენიჭა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ადიუტანტად დაინიშნა. 1921 წლის მარტამდე პარიზში, ევროპაში საქართველოს სამხედრო ატაშეს მოადგილე იყო. მარტიდან ოქტომბრამდე რომში ცხოვრობდა, ოქტომბრიდან ბერლინში. 1922 წელს ვისბადენში ცოლად შეირთო ნინო ჭავჭავაძე, რომელიც იმავე წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. 1924 წლიდან წერს ფსევდონიმით „იაზონი“. 1925 წელს „გერმანულ კინოთეატრების მფლობელთა საიმპერიო კავშირთან“ დაარსა სტატისტიკური ბიურო, რომელიც უსახსრობის გამო წლის ბოლოს დაიხურა. 1926 წელს დაარსა სტატისტიკური ბიურო „გერმანიის კინოგამქირავებელთა ცენტრალურ კავშირთან“, რომელმაც ალექსანდრე აფხაზი 1927 წელს იგივე უსახსრობის მომიზეზებით დაითხოვა. 1926 წელს ცოლად მოიყვანა მართა კუნი (შვილები არ ყოლია). 1926 წელს ის მონაწილეობას იღებდა, როგორც გერმანიის დელეგაციის წევრი, კინოს პირველ საერთაშორისო კონგრესზე პარიზში, სადაც წარადგინა მემორანდუმი „საერთაშორისო სტატისტიკური ბიურო, როგორც ძირეული პირობა წარმატებული თანაშრომლობისათვის“, რომელიც ერთხმად იქნა მოწონებული თითქმის 20 სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ. მას შემდეგ, რაც მისი თანაშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ვერ



შედა, დამოუკიდებლად განაგრძო კინოსტატიკაზე მუშაობა და სტატიების გამოქვეყნება 20-ზე მეტ ჟურნალ-გაზეთში, გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ. 1937 წლიდან კინოინჟინერის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელია.

„ფილმკურიერის“ ზემოთ მოყვანილი საიუბილეო სტატიიდან და სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე იაზონი ამ ინსტიტუტის, რომელსაც შემდეგში ეკონომიკის კვლევის ინსტიტუტი ეწოდა, კინოს რეფერატის (განყოფილების) დამაარსებელი და ხელმძღვანელი ყოფილა.

ალექსანდრე აბხაზმა (იაზონმა) პირველმა მიაპყრო ყურადღება, რა კავშირი იყო მოსახლეობის რაოდენობასა და კინოთეატრების რაოდენობას, კინოთეატრებში ადგილების რაოდენობას და მათში ადგილების კატეგორიებს შორის, კინომაყურებელთა რაოდენობის, ბაჟის, გადასახადებისა და ფასების განვითარებას, კინოპროდუქციასა და გაქირავებაში მომუშავე პერსონალის პროფესიულ და რიცხობრივ განვითარებას, კინოში დასაქმებულ ხელოვანთა და მუშაკთა კატეგორიებს და ა.შ. მან 1895 წლიდან მოყოლებული კინობაზრის შესწავლა დაიწყო, კინოინდუსტრიის ადგილი და როლი საერთო ეკონომიკაში განსაზღვრა, შეადარა სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები. მისმა კვლევებმა მეცნიერული საფუძველი დაუდო კინოს, როგორც მეურნეობის დარგის შესწავლას. მაგრამ, გარდა ამისა, ალექსანდრე აბხაზი აქტიურად იღებდა მონაწილეობას ქართული ემიგრაციისა და განსაკუთრებით გერმანიის ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში, რომლის ისტორიის მცირე მიმოხილვა, ვფიქრობ, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

„ქართველ მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში (Gesellschaft Georgischer Buerger in Deutschland e.V) 1922 წლის 22 ოქტომბერს გატარდა ბერლინ-შარლოტენბურგში რეგისტრაციაში.

პირველი კრება ალექსანდრე კორძაიას თავჯდომარეობით ჩატარდა 1922 წლის 13 ივლისს.

1922 წლის ივლისიდან 1924 წლის ივლისამდე საზოგადოების თავჯდომარე იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის ყოფილი მინისტრი გიორგი ჟურული.

1924–1928 წლებში — გიორგი კერესელიძე (1927 წლის დეკემბერში ახლიდან არჩეული, 1928 წლის თებერვალში გადადგა).

- 1928–1929 წლებში — დრ. სიმონ გეგელაშვილი.
- 1929–1931 წლებში — მიხეილ წულუკიძე.
- 1931–1932 წლებში — ისევ სიმონ გეგელაშვილი.
- 1933–1934 წლებში — რომან მკურნალი.
- 1934–1935 წლებში — გრიგოლ დიასამიძე.

1935 წლის 16 აგვისტოს კრებაზე, რომელიც რესტორან-ჰიფეტერში, ვიტტენბერგის მოედანზე ჩატარდა, საზოგადოების თავჯდომარედ ალექსანდრე აბხაზი იქნა არჩეული. კრებას ესწრებოდა ამ საზოგადოების დაახლოებით 75%, რაც 1936 წლის კრების მონაწილეთა

სიის მიხედვით, სულ 24 ადამიანს შეადგენდა. ასე რომ, ამ პერიოდში საზოგადოების წევრთა რიცხვი 30–35-ს არ აღემატებოდა. საფიქრებელია, რომ ნაციისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებად წევრების რაოდენობა ოდნავ მეტი იქნებოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი დოკუმენტები ხელთ არ გვაქვს.

ნაციზმის დროს უცხოელებთან მიმართებაში კანონდებლობა შეიცვალა და მათი საქმიანობა უფრო მკაცრ კონტროლს დაექვემდებარა. 1937 წელს საზოგადოებას სახელი გადაარქვეს და ქართველთა ახალშენი გერმანიაში (Georgische Kolonie in Deutschland e.V, როგორც ჩანს, შეცდომით ახალშენის სატიტულო ფურცელზე ქართველი (!) ახალშენი წერია) ეწოდა.

ამ დროს სათვისტომოში დაპირისპირება სხვადასხვა ჯგუფებს შორის იზრდება.

1938 წელს ახალშენის თავჯდომარე ავლიპი კიზირიას ნაცვლად ინჟინერი ვალერიან ტოგონიძე აირჩიეს. მაგრამ პრობლემები ადრე დაიწყო: კიზირიასთან ერთად არჩეული ხელმძღვანელობა - ლეონიდე ჭეიშვილი (მოადგილე), ალექსანდრე კორძაია, გიორგი საჯაია, ივანე ლოღიაშვილი, აკაკი პაპაია საიდუმლო სახელმწიფო პოლიციამ (გესტაპო) მაშინვე დაიწუნა და გადააყენა. გესტაპოს მიერ დამტკიცებული ავლიპი კიზირია 1938 წლის თებერვლიდან 1939 წლის თებერვლამდე მარტო მართავდა ახალშენის საქმეებს. 1939 წლის კრებაზე სათვისტომოს ახალი დებულება დამტკიცდა და არჩეული თავჯდომარის უფლებამოსილება სამი წლით გაიზარდა (საპატიო თანათავჯდომარედ გრიგოლ რობაქიძე აირჩიეს). ახალი დებულების მიხედვით, თავჯდომარე ირჩევდა თავის მოადგილეს და არა კრება. მოადგილედ დანიშნული ვალერიან ტოგონიძის თავჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ, 1940 წლის სექტემბერში, ავლიპი კიზირიამ მას ახალშენის ხელმძღვანელობა ჩააბარა საერთო კრებამდე. 1940 წლის ნოემბერში კიზირია გარდაიცვალა. 1941 წლის 26 იანვრის კრებაზე დებულების საწინააღმდეგოდ, რომელიც ახალი წევრების სრულუფლებიანობას 4 კვირის შემდეგ ითვალისწინებდა, კრებამ 20 ახალ წევრს (რომლებიც, როგორც აბხაზის წერილიდან ჩანს, გერმანიის მიერ ახლად ოკუპირებული ტერიტორიებიდან იყვნენ) მაშინვე დაუმტკიცა ხმის მიცემის უფლება. ამის გამო არჩევნების შედეგები ალექსანდრე აბხაზის ხელმძღვანელობით ზოგიერთმა ძველმა წევრმა გააპროტესტა და ტოგონიძეს უნდობლობა გამოუცხადა. ბერლინის სასამართლოს მოთხოვნაზე, აქსნა საქმის ვითარება, ტოგონიძემ განაცხადა, რომ „ჯგუფმა აბხაზი და კომპანია“ არასწორად მიაწოდა მათ ინფორმაცია, მაგრამ მას ახალი არჩევნების დანიშვნა მაინც მოუხდა, რომლის ჩატარებაც სპეციალურად შექმნილ კომისიას დაევალა. კომისიაში ვლადიმერ (ლადო) ახმეტელიც (საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი გერმანიაში,

ოდესღაც სოციალ-დემოკრატი) შედიოდა. იგი სათავეში ედგა კავკასიელ ლტოლვილთა სამმართველოს (Vertauensstelle fuer Kaukasische Fluechtlinge), რომელიც 1938 წლის 1 სექტემბერს ქართული ოფისის (Georgisches Buero) საფუძველზე და მისი უფლებამოსილებების გაფართოების შემდეგ შექმნა ნაციისტურმა ხელისუფლებამ. კავკასიური სამართველოს (Kaukasische Vertrauensstelle, შემოკლებით ასეც ამბობდნენ), ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე აბხაზი იყო.

1941 წლის 29 ივნისს, საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის ომის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში, 39 ხმით, 27-ის წინააღმდეგ (9-მ თავი შეიკავა), ახალშენის თავჯდომარედ ტიტე მარგველაშვილი აირჩიეს. ბოლო კრების ოქმი, რომელიც ბერლინის ლანდეს (მიწის) არქივშია[იიი] შემონახული, 1942 წლის 25 თებერვლით თარიღდება. ტიტე მარგველაშვილი ქართული სათვისტომოს ბოლო თავმჯდომარე იყო ნაციისტურ პერიოდში.

ალექსანდრე აბხაზი ომის შემდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებას და კინოს ჩამოსცილდა.

Allgemeine Statistisches Archiv-Si (Bd.42, 1958) გამოქვეყნებული ალექსანდრე იაზონის ნეკროლოგის ავტორი დოქტორი გუსტავ ლუკე მწუხარებით აღნიშნავს, რომ 1945 წლის შემდეგ იაზონი თავისი მნიშვნელობის შესაბამისად კინომრეწველობამ არ დააფასა და საქმეში არ ჩართო.

ამის მიზეზი ალბათ ალექსანდრე აბხაზის სიანლოვე იყო ნაციისტურ წრეებთან და მისი რამდენიმე სტატია, რომლებიც აშკარად ანტისემიტურ ხასიათს ატარებდა, მაგ.: „კინო ებრაული ძალაუფლებლების ქვეშ“ (Der Film unter juedischer Herrschaft, Sonderdruck aus: Sueddeutsche Monatshefte, Heft 4, Januar 1936).

სამწუხაროდ, ალექსანდრე იაზონის ღვაწლი კინოში დაუწყებელია, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ნეკროლოგშია აღნიშნული, „თუ აგერ უკვე სამი ათეული წლის განმავლობაში კინოს და მისი სამყაროს შესახებ სტატისტიკური მიმოხილვა არსებობს, ამას ძირითადად იაზონის დაუღალავ შრომას უნდა ვუმადლოდეთ.“ არც ალექსანდრე აბხაზის სამშობლოში ვიცით მეტი მის შესახებ.

# კავკასიელი ემიგრანტები ეძრა მსოფლიო მათი

კავკასიური პოლიტიკის წარმართვა ერთიანი ფრონტით 20-იანი წწ. იწყება. 1924 წ. აჯანყების სისხლში ჩახშობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ემიგრაციაში, ნოემბერში სტამბოლში შეიქმნა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტ“ კონფედერაციის საფუძველზე. აქტზე ხელი მოაწერეს ქართველთაგან – მიხეილ წერეთელმა, დავით ვაჩნაძემ, ალექსანდრე ასათიანმა, ახერბაიჯანელთაგან – ექიმმა ხოსროვ სულთან-ზადემ, აბდულა ალი ემირჯანმა, შეიხ-ულ ისლამ-ზადემ; ჩრდილო კავკასიელთაგან – ვისან გირეიმ ჯაბაგიმ (ჩეჩენი), ალიხან კანტემირმა (ოსი), ჰაიტეკ ნამიტოვმა (ჩერქეზი). 1925 წ. ზაფხულში თურქეთში პოლონეთის ელჩის მინისტრ რომან კნოლის ფინანსური დახმარებით კავკასიის კონფედერაციის კომიტეტის სამი წევრი კავკასიის საზღვრებისკენ გაიგზავნა სამუშაოდ. ვაჩნაძე არდავანში, ა. კანტემირი – ყარსში, ხ. სულთანოვი – სპარსეთში. 1933 წ. მოხერხდა „სომეხ-ქართველთა კავშირის“ შექმნაც. კკკ-მ და კავკასიურმა საბჭომ დიდი როლი შეასრულა კავკასიური წარმოშობის ემიგრანტთა დასახლოებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის შესაქმნელად, რომელსაც ადასტურებს

კავკასიელ ხალხთა თუ რუსულ ენაზე გამოცემული მრავალრიცხოვანი პერიოდული გამოცემები, წიგნები, ბროშურები, ალმანახები, კონფერენციათა მასალები და სხვა. მას მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ანალოგიურ ორგანიზაციებთან. ყველაფერმა ამან კი თავი იჩინა დიდი განსაცდელის ფაშს – მეორე მსოფლიო ომის წლებში.

1942 წ. გაზაფხულზე, როცა ბრძოლები დაიწყო უშუალოდ კავკასიის მისადგომებთან ემიგრანტთა წინაშე რეალურად დაისვა კავკასიის განთავისუფლების საკითხი. გერმანიის უმაღლეს ეშელონებშიც ბევრი არ იზიარებდა ჰიტლერის კოლონიურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების მიმართ – გრაფი შულენბურგი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, აღმირალი კანარისი, გენერალი კოსტრინგი, მისი ადიუტანტი ჰერვარდი, გრაფი შტაუფენბურგი, კაპიტანი ობერლენდერი, მისი ასისტენტი კუცშერბახი გენერალური შტაბიდან, ოტო ბრაუტინგამი, პროფესორი ფონ მენდელ აღმოსავლეთის სამინისტროდან და სხვები. ეს ჯგუფი იზიარებდა მხცოვანი მწერლისა და პოლიტიკური მოღვაწის პაულ

რორბახის მოსაზრებას რუსეთის იმპერიის შესახებ, რომელსაც იგი ფორთოხალს ადარებდა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს – ხელოვნურად და ძალადობით ერთმანეთზე მიკრულ სხვადასხვა ეროვნულ სხეულებს მხოლოდ კანი ამაგრებს. საკმარისია ამ კანის - ტლანქი ძალიას ჩამოცილება, რომ ნაწილები ერთმანეთს ადვილად მოსცილდნენო. რორბახი თანამოაზრებთან ერთად ცდილობდა გერმანიის მმართველი წრეების დარწმუნებას, რომ აუცილებელი იყო რუსეთის კოლოსის დანაწილება და მის ადგილას აღმოსავლეთ ევროპაში ეროვნული სახელმწიფოთა ჯგუფის დაარსება.

ეს თეორია ხელახლა ამოტივტივდა 1937 წ. მეორე მსოფლიო ომის დროს კი გარკვეული სახე მიიღო „ახალი ევროპის“ თეორიებში. ჰერმან რამპოფერს თავის წიგნში მოყვანილი აქვს ობერლენდერის ერთ-ერთი მემორანდუმი, რომელშიც გადმოცემულია „ახალი ევროპის“ პრინციპები: „პოლიტიკურად ჩვენთვის მომაკვდინებელი იქნება და ფაქტების საწინააღმდეგო, თუ გადავწყვეტთ, რომ სლავებში დაბალი ხარისხის რასა დავინახოთ და აღმოსავლეთისადმი კოლონიალურ ექსპლუატაციისათვის. კატასტროფულია აგრეთვე, რომ ამ შემცდარმა შეფასებამ აღმოსავლეთ სლავებისა გზა გაუკაფა პოლიტიკურ სიბრყველს, რის მიხედვითაც „აღმოსავლეთის ხალხის“ წოდების ქვეშ, აგრეთვე სხვა ერებიც მაგალითად, ესტონელები, ლატვიელები, ლიტველები და კავკასიელები, რომლებიც ორიათასი წელიწადი ევროპასთან დაკავშირებულნი იყვნენ, დაქვეითებულ იქმნენ რაღაც ფანტაზიურ დაბალხარისხოვან ადამიანებად.“

ვინაიდან ჰიტლერს კავკასიის მიმართ არ გააჩნდა ტერიტორიული პრეტენზიები და შესაბამისად, არც გარკვეული გეგმა ამ ქვეყნების მომავალ სახელმწიფო მოწყობაზე, მათ გამოიყენეს ეს გარემოება და შეიმუშავეს პროექტი კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენისა, რომელიც შეასრულებდა ბუნებრივი ბუფერის როლს რუსეთის სამხრეთული ექსპანსიის შესაჩერებლად, შემდეგ კი გახდებოდა მოკავშირე და საყრდენი გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკაში. 1942 წ. აპრილში პოლიტიკური საკითხის მოსაგვარებლად შელენბურგმა ბერლინში მიიწვია ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები; ქართველებიდან – ეროვნულ-დემოკრატიები სპირიდონ კეღია, დავით ვაჩნაძე, შალვა ამირეჯიბი, „თეთრგორობელები“ ლეო კერესელიძე, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაღალაშვილი; უპარტიოები მიხეილ კეღია, შალვა მაღლაკელიძე, ზურაბ ავალიშვილი, ალექსანდრი მანველიშვილი და სხვები. ჩრდილო კავკასიელებიდან ჟურნალ „კავკასიის“ გამომცემელი ჰაიდარ ბამატი და ამიხან კანტემირი; „პრომეთეს“ ჯგუფიდან - აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტი „მუსავატნი“ რასულ ზადე, შამილის შვილიშვილი საიდ შამილი, თურქესტანელი ველი კაიუმი და შესთავაზა „პოლიტიკური კომიტეტის“ შექმნა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში.

მიწვეულები ცხოვრობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს სასტუმრო „ადლონში“, ამიტომ აქციას „ადლონიად“ უწოდეს. მაგრამ შელენბურგის გეგმა საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოცხადების შესახებ – ჰიტლერმა არ მიიღო. როგორც გივი გაბლიანი წერდა: „შელენბურგი იძულებული გახდა თავისი მოწვეულები ოფიციალურ ბანკეტზე ახალი „მასპინძლისათვის“ აღმ. სამინისტროსათვის ჩაებარებინა“. აქ კი საკითხი ბრაუტიგამის და ფონ მენდეს განყოფილების სფეროში მოექცა. „ადლონის“ სტუმრების ნაწილი წავიდა, ნაწილი – გერმანიის სხვადასხვა უწყებებს დაუკავშირდა, ნაწილმა კი ბრაუტიგამთან და მენდესთან განაგრძო მუშაობა.

პოლიტიკურ საკითხთან ერთად გადასაწყვეტი იყო ტყვეთა საკითხი. ომის დასაწყისში გერმანიის სარდლობამ საკუთარი ინიციატივით, ჰიტლერის ნებართვის გარეშე დაიწყო მოხალისე საბჭოელების გამოყენება ჯერ სამეურნეო, შემდეგ სამხედრო საქმეში. ფრონტებზე ცოცხალ ძალაზე გაზრდილი მოთხოვნილებების გამო, დაიწვეს გერმანულ ჯარში მათი მიღება და მალე პატარა მოხალისეთა ნაწილები შეადგინეს. ასე, რომ 1942 წ. გაზაფხულზე 200 ათასი საბჭოთა მოხალისე იყო გერმანულ ჯარში. ნაწილები გერმანულ სამხედრო უწყებას ექვემდებარებოდნენ და ყველა ცვლილებაზე კოსტრინგს უნდა შეთანხმებოდნენ. მოხალისეთა შეგროვება და სამხედრო ერთეულად ჩამოყალიბება გერმანული სამხედრო უწყების ინიციატივით მოხდა. 1942 წ. 22 თებერვალს გერმანული არმიის ფარგლებში შეიქმნა კავკასიური - 10 სომხური, 8 აზერბაიჯანული, 8 ჩრდილოკავკასიური, 12 ქართული ბატალიონი და კავკასიური ლეგიონები არმიის შტაბის რეორგანიზაციის განყოფილების მაიორის შტაუფენბერგის მეთაურობით, რომელთაგანაც შემდეგ ჩამოყალიბდა ლეგიონის საველე ბატალიონები. აქ კავკასიელთა რიცხვი 48.700 უდრიდა: სომხები – 11.000, აზერბაიჯანელები – 3.600, ჩრდილოკავკასიელები – 10.1000, ქართველები – 14.000; მომმარაგებელ და მშენებელ ნაწილებში შესაბამისად – 7.000, 4.795, 3.000 და 6.800. მათ გარდა სხვადასხვა გერმანულ ნაწილებში კიდევ 32.000 კავკასიელი იყო. საერთო რიცხვი კი 1942 წ. გაზაფხულზე 102.295 აღწევდა, კავკასიიდან უკანდახვეის დროს, მათ შეუერთდა კიდევ 7.000 ჩრდილოკავკასიელი.

ლეგიონის და საველე ბატალიონების მეთაურები გერმანული ოფიცრები იყვნენ, ასეული – კავკასიელი ოფიცრები და გერმანელები. ენის, ტრადიციები და აღზრდის სხვადასხვაობა ბევრ წინააღმდეგობას იწვევდა მათ შორის. მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც მოხალისეთა ნაწილების გენერლად ჰელმიხის ნაცვლად კოსტრინგი განიშნეს. როგორც გ. გაბლიანი შენიშნავდა: „გენერალი კოსტრინგი ომამდე სამხედრო ატაშე იყო მოსკოვში... კოსტრინგი რუსეთში იყო დაბადებული, გაზრდილი და

ახალგაზრდობის ნაწილიც იქ გაატარა. მას საბჭოთა კავშირში მოქცეულ რუს და არარუს ერებისადმი თბილი გრძობები ჰქონდა“.

1942 წ. თითქმის ყველა ბატალიონი ფრონტზე გაიყვანეს – უმეტესობა კავკასიაში, ნაწილი კი აღმოსავლეთის ფრონტის სხვადასხვა მონაკვეთებზე გადაანაწილეს. ყველამ დიდი ზარალი განიცადა ბრძოლებში, მათ თავი ისახელეს სივანთან და პერეკოპთან ბრძოლებში, ბრძანებაში მთავარსარდლობა აღნიშნავდა „პერეკოპის თავდაცვით ბრძოლებში კავკასიელ მოხალისეთა ათასეულის გმირობას. გაზაფხულის დასაწყისში გერმანია შეუდგა არსებული ნაწილების მოწესრიგებასა და ორგანიზაციას, რომელსაც მაიორი კლაუს ფონ შტაუფენბერგი ხელმძღვანელობდა. მან მოხალისეთა ნაწილებს სათავეში ჩაუყენა გენერალი კოსტრინგი, სამხრეთის ფრონტის სარდალს გენერალ-ფელდმარშალ ფონ კლაისტს ადიუტანტად დაუნიშნა კაპიტანი ფონ ჰერვარდი, მრჩეველად კი – დოქტორი ოტო შილერი.

ადმირალი კანარისის ინიციატივით შეიქმნა განსაკუთრებული სამხედრო ნაწილი, სამთო შენაერთი „ბერგმანნი“ კაპიტან ობერლენდერის მეთაურობით, რომელიც შემდეგ შეცვალა ვილი ბრანტმა (პირველი შემდეგ ბუნდესტაგის წევრი გახდა, მეორე – სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი). მათ რუმინეთში შეუერთდა ქართველ ემიგრანტთაგან შედგენილი ნაწილები „თამარპირველი“ და „თამარმეორე“. „ბერგმანი“ სამწყობრო და ტაქტიკურ წვრთნას გადიოდა ავსტრიის პატარა ქალაქებში სტრანსში და მიტერვალდენში. ნაწილი 4 ასეულის, ასეული – 4 ოცეულის, ოცეული – 2 ათეულისაგან შედგებოდა. ათეულს ჰქონდა ერთი ხელის ტყვიამფრქვევი, 4-5 შმაისერის ავტომატი და ამდენივე თოფი. იყო დაზვიის ტვიამფრქვევიანი ათეულიც. „ბერგმანი“ ერთად-ერთი იყო მთელ გერმანულ არმიამდე მომსახურე სხვა ხალხთა ნაწილებს შორის, რომელიც გერმანულ ფორმას, ნიშნებს და რეგალიებს ატარებდა, თვით ვერმახტის ჯარებშიც კი პრივილეგირებული იყო და ცნობილი სამთო დივიზიის „ედელვაისის“ ბაზაზე გაიოდა წვრთნას. თუოდორ ობერლენდერს და ვილჰელმ კანარისს სურდათ ამ ნაწილების მაგალითზე დაემტკიცებინათ, რომ კავკასიელთა და გერმანელთა შორის შესაძლებელი იყო თანამშრომლობა „ახალი ვეროპის“ პრინციპზე. შემდეგში ამ ექსპერიმენტის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა სხვა ერთა მიმართ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ „ბერგმანის“ კავკასიაში ყოფნა თავიდან ააცილებდა ამ მხარეს უკრაინაში დატრიალებულ ტრაგედიას. „კავკასიაში მის შენაერთს კონკრეტულ სამხედრო დაავალებასთან ერთად უნდა შეესრულებინა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა: გერმანელ სამხედროებს, ტყვედ ჩაგარდნილი კავკასიელი ჯარისკაცებისა და ადგილობრივი მოსახლეობისადმი კარგი მოპყრობით კავკასიელი ხალხი ერთგულ მოკავშირედ უნდა გაეხადათ სტალინის ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუ ყველაფერი წარმატებით განხორციელდებოდა, მაშინ ეს იქნებოდა ძლიერი არგუმენტი იმჟამინდელი „აღმოსავლური პოლიტიკის“ შესაცვლელად დანარჩენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

„ბერგმანში“ იყო აზერბაიჯანული, სომხური და ჩრდილო კავკასიური ასეულებიც, მაგრამ ძირითადი ნაწილი ქართული იყო. „ბერგმანში“ სამი ებრაელიც იყო, რომლებიც არც გერმანელებს და არც ქართველებს არ გაუციათ. ერთ-ერთი მათგანი პანკრაძე ბრძოლაში დაიღუპა ისე, რომ თავის ტყვიამფრქვევს არ მოშორებია. აქ იყო გერმანელ სპეციალისტთა მთელი ჯგუფი, დოქტორები ჰერმან რამპოფერი, ტედ შიუტე, ფრიდრიხ რიხტერი, ობერლენდერის ასისტენტი ბარონი ვალტერ ფონ კუცშერბახი და სხვები, რომლებმაც ომის მერე მრავალი საინტერესო წიგნი გამოაქვეყნეს. სხვათა შორის, გერმანელ ოფიცერთა შორის იყო ქართველთა ძველი მეგობრის კრეს ფონ კრესენშტაინის შვილიშვილი. 1942 წ. აგვისტოში „ბერგმანი“ ფრონტზე გაიყვანეს. სამხედრო უსაფრთხოების მიზნით ბერგმანელებს არ უნდა გაემჟღავნებინათ თავიანთი ნამდვილი ეროვნება. 1943 წ. მთავარსარდლობიდან არმიის, კავკასიის ფრონტის სარდალის ფონ კლაისტის განკარგულებაში გადაიყვანეს, სექტემბრიდან იგი ბრძოლაში ჩაება გროზნოს მისადგომებთან, მალგობეკის მდლობის ასადებად. მისმა წევრებმა იალბუზზე ქართული დროშაც კი აიტანეს. 1944 წ. გერმანელთა ჯარების ბალკანეთიდან უკანდახევისას, მეთაურთა შეკრებაზე „ბერგმანის“ მე-3 ასეულის უფროსს უთქვამს: „გერმანელი გენერლისათვის სავალალო უნდა იყოს იმის აღიარება, რომ მხოლოდ „ბერგმანის“ პირველ ბატალიონს შეუძლია მტრის ყოველი შემოტევის დროს პოზიციების შენარჩუნება და წარმატებული შეტევების განხორციელება“. ყირიმიდან და ქერჩიდან ქართული ნაწილები ჩრდილო კავკასიაში გადავიდნენ, სადაც თავი მოიხარეს „ბერგმანმა“ და გაერთიანებულმა „თამარ პირველმა“ და „თამარ მეორემ“. ბევრი კავკასიელი სწორედ ყირიმისა და ქერჩის ბრძოლებისას დაიღუპა. მათ გადაკეთებული გერმანული გვარებით ასაფლავებდნენ.

კოსტრინგი მოხალისეთა ნაწილებისგან განსაკუთრებული არმიის შექმნას ცდილობდა, პიტლერის წინააღმდეგობის შემდეგ, მოხალისეთა სრული გათანაბრება სცადა გერმანელ ჯარისკაცებთან. კავკასიელები გერმანულ სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნეს, მაგრამ მთავარს – პოლიტიკურ საფუძველს გერმანია ვერ იძლეოდა. ამასთან ლეგიონერები ხედავდნენ, რა ბედი ეწიათ დაპყრობილ ტერიტორიებს (თუმცა ეს კავკასიაში არ მომხდარა და ამიტომაც ვერ მოიკიდეს პარტიზანებმა ფეხი) და მათ თანამოძმეებს ტყვეთა ბანაკებში. ამასთან ანტიკომუნისტური ბრძოლის რეჟიმს, რომელიც გერმანელებმა წამოაყენეს, საკმარისი არ იყო – მათ არა მხოლოდ რეჟიმის, არამედ ეროვნული პრობლემებიც აწუხებდათ.

„პოლიტიკური კომიტეტების“ შექმნის

შელენბერგისეული გეგმის ჩაშლის, გერმანიის სამხედრო მარცხის და კავკასიიდან უკანდახევის გამო, პოლიტიკური საკითხი უკვე აღარ იდგა. „ოსტმინისტერიუმი“ დაარსებული იყო აღმოსავლეთში დაპყრობილი ტერიტორიების მოსაწყობად, მაგრამ „ბლიც-კრიგის“ ჩაშლის შემდეგ, ეს ტერიტორიები სამხედრო მოქმედების სფეროში რჩებოდა და სამინისტროც თავის ფუნქციას ვერ ასრულებდა. შექმნილმა მდგომარეობამ როზენბერგი აიძულა ემიგრანტებთან ურთიერთობა გაეგრძელებინა. აქ კი საკითხი ბრაუტინგამის და ფონ მენდეს განყოფილების სფეროში მოექცა. ემიგრანტთა ნაწილი წავიდა ბერლინიდან, ნაწილი გერმანიის სხვადასხვა უწყებებს დაუკავშირდა, ნაწილმა კი ფონ მენდესთან განაგრძო მუშაობა. 1942 წ. აგვისტოში ფონ მენდემ აღმოსავლეთის ერების წარმომადგენელთა ცენტრი და ერთგვარი ნაციონალური წარმომადგენლობა „ნაციონალუსშუსნ“ დააარსა, 1943 წ. გაზაფხულზე – ქართული ეროვნული კომიტეტი მიხეილ წერეთლის, ზურაბ ავალიშვილის, სპირიდონ კედიას და გიორგი მაღალაშვილის შემადგენლობით, რომელსაც ევალეობდა თანამშრომლობა გერმანიასთან, ქართველთა გაეთიანება, მათი ხელმძღვანელობა და მათზე ზრუნვა, მიზანი იყო ყველა ქართველის საერთო იდეით გაერთიანება, იმ საქმეთა ხელმძღვანელობა, რაც საქართველოს შეეხებოდა და მისი ინტერესების დაცვა გერმანიის ხელისუფლების წინაშე.

26 მაისს ეროვნულმა კომიტეტმა და გერმანიაში ქართულმა კოლონიის გამგეობამ “ბახის დარბაზში” მოაწყო ზეიმი. აქ იყვნენ ბერლინის ქართული კოლონიის მთელი შემადგენლობა, ქართველი ლეგიონერები, განთავისუფლებული ყოფილი ტყვეები, საქართველოს მოძმე მეზობელი ერების: სომხების, აზერბაიჯანელების და მთიელთა წარმომადგენლები და გერმანელი სტუმრები. მათ შორის გრაფი შულენბურგი. საზეიმო საღამო გახსნა ქართული კოლონიის თამჯდომარე ტიტე მარგველაშვილმა, აგუგუნდა „დიდება“. შეკრებილთ გერმანულ ენაზე მიესალმა ეროვნული კომიტეტის თამჯდომარე პროფესორი მიხეილ წერეთელი. პროფესორმა ბლახინშტაინერმა წაიკითხა მოხსენება „ქართული საგმირო თქმულებანი“. ყოფილ ტყვეთა გუნდმა დ. კავსადის ხელმძღვანელობით შეასრულა ქართული სიმღერები და ცეკვები. შესრულდა მხატვრულ-მუსიკალური სურათი და მხატვრული კითხვის ნიმუშები. ზეიმი დამთავრდა საზეიმო ფერხულით. მაგრამ ჰიტლერმა პოლიტიკური შეფერილობის ეს კომიტეტიც აკრძალა და ემიგრანტებმა პრობლემების მოგვარება ახალა თაობას დააკისრეს.

1943 წ. შემოდგომაზე გადაწყდა „საკავშირო შტაბის“ (ფერინდუნგსშტაბი) დაარსება, რომელსაც უნდა შეეცვალა „აუსშუსი“. ქართული საკავშირო შტაბის გამგეობაში შედიოდნენ მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი, მიხეილ ალშიბაია და გივი გაბლიანი. ემიგრანტების ნაწილმა შტაბს მხარი

დაუჭირა. პარიზში მიხეილ კედიამ მანდატი და დაულება მიიღო საქართველოს მთავრობისგან, რადგან 1940 წ. ნოე ჟორდანიას დეკლარაციის გამო, მათ არ შეეძლოთ მონაწილეობა ამკარად მიეღოთ გერმანელების მიერ შექმნილ ორგანიზაციაში. ასეთი შტაბები შექმნეს სხვა ერებმაც. მათ წინაშე 5 პრობლემა იდგა: 1. ტყვეები გერმანულ ჯარში; 2. ბანაკებში; 3. სხვადასხვა სამუშაოებზე; 4. ემიგრანტები გერმანიის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე და გერმანიაში; 5. კავშირი სხვა კავკასიელებთან და საერთოდ, აღმოსავლეთის ერებთან. შტაბებს გააჩნდათ სამოქალაქო, პოლიტიკური, ფინანსურ-მომმარაგებელი და სამხედრო განყოფილებები. დაბრკოლებების მიუხედავად, გარკვეული შედეგები მათ უკვე ჰქონდათ ექვსი თვის შემდეგ: ქართველი და კავკასიელი მუშები გამოყვანილ იქნენ „აღმოსავლეთის მუშების“ (ოსტარბაიტერ) პირობებიდან და უფლებრივად გაუთანაბრეს უცხოელ მუშებს, სხვადასხვა ბანაკებში გაფანტული კავკასიელები რეგისტრირებულ იქნენ გასანთავისუფლებლად. მაგრამ შტაბის მთავარი ფუნქცია სამხედრო ხასიათისა იყო – მას წესრიგში უნდა მოეყვანა გერმანელების ინიციატივით უკვე გამოყვანილი და სამხედრო ერთეულად ქცეული კავკასიელები, რომელთა რიცხვი 100 ათასს აღემატებოდა. საჭირო იყო მათი იურიდიულ ლეგალური მდგომარეობის განსაზღვრაც... საუკეთესოდ მოწყობილი დაზვერვის საშუალებით შტაბებს ურთიერთობა ჰქონდათ საკუთარ ქვეყნებთან და კავკასიურ შტაბებსაც ერთმანეთთან. იგი წარმოადგენდა შემაერთებელ რგოლს უმაღლეს სარდლობასა და კავკასიური ნაწილების გერმანულ კადრს შორის.

განსაკუთრებული იყო ქართული საკავშირო შტაბის სტატუსი, რომელიც იყო წარმმართველი შტაბების მუშაობისა. მის სამოქალაქო განყოფილების ფუნქციებში შედიოდა ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოხვედრილ ქართველ ემიგრანტთა, ყოფილ თუ ჯერ კიდევ ბანაკებში მყოფ ტყვეთა გამოყვანა და პატრონობა. პირველი ტყვეები გერმანიაში პოლინეთიდან გაჩნდნენ. ჟურნალ „ახალ დროებაში“ ჩამოთვლილია მათი გვარები: „თავადი ნ. ვაჩნაძე, კ. კიკვიძე, ს. მიაშვილი, ბ. ქუთათელაძე, ვ. თევზაძე, ა. კობიაშვილი, კ. მათიკაშვილი, დ. ლალიძე, გ. მრელაშვილი, ვ. აბაშიძე, დ. კლდიაშვილი, ვ. ციბაძე, შ. უგრეხელიძე, მ. კვალაშვილი, ველი-ბეგ იედიგარი (აზერბაიჯანელი), მარიამ-ბეგმორგატი და სოზირკო მალსაკი (მთიელი)“. გერმანიაში მათი ბანაკებიდან გამოყვანაში დიდი როლი შეასრულეს საქართველოს ყოფილმა ელჩმა ვლადიმერ ანმეტელმა, პროფესორებმა გიორგი ნაკაშიძემ, ალექსანდრე ნიკურაძემ და სხვებმა; პოლონეთში – ნიკოლოზ მათიკაშვილმა. „ეს ტყვე ოფიცრები სხვა და სხვა ლაგერებში იყვნენ დანაწილებულნი. საქართველოს ყოფილი ელჩი და ქლანდელი კავკასიური ფერტრაუნსშტელეს

ხელმძღვანელის თაოსნობით, რაზეც გერმანიის სამხედრო უფროსობა ადვილად დათანხმდა, ყველა კავკასიელს ერთად მოუყარეს თავი და იმავე ბ-ნ ახმეტელის მცდელობით, პირველი აგვისტოდან ყველა გაანთავისუფლეს. ეხლა საკითხი დგას საფრანგეთის ჯარში მყოფ და ტყვედ ჩაგარდნილ კავკასიელთა შესახებ. ჯერ ცნობილია მხოლოდ, რომ ტყვეობაში იმყოფებიან კ. ჟურული და ა. დადიანი". შტაბის შექმნის შემდეგ ტყვეთა გამოყვანა უფრო ორგანიზებული გახდა. ტყვეობიდან თავდახსნილები ხშირად თვითონვე ებმოდნენ ტყვეთა განთავისუფლების კამპანიაში. საორგანიზაციო განყოფილება ეხმარებოდა მათ სამუშაოზე მოწოდებაში, თუმცა მათ გარეთ გამოსვლის და თავისუფლად მიმოსვლის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ შტაბი ხშირად მათ მიწერას და პასპორტებს უკეთებდა გარეთ გამოსასვლელად.

შტაბებს პოლიტიკური საკითხი არ ეკისრებოდათ, მაგრამ კავკასიაში ყოფნისას ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან და ნაღჩიკის მიდამოებში მცხოვრებ რაჭველ კოლმეურნეებთან დაკავშირებას, რომელსაც დაუბრკოლებლად შეეძლოთ რაჭაში გადასვლა.

კავკასიური პოლიტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ალექსანდრე ნიკურაძის სანდერსის ფსევდონიმით გამოცემულ ორ წიგნს „აღმოსავლეთ ევროპა“ და „კავკასია“, რომლებიც როზენბერგთან იმდენად იყო დაახლოებული, რომ იგი აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნა. მისი ეს წიგნები სახელმძღვანელოდ, მისი ავტორი კი ამ საკითხის ექსპერტად ითვლებოდა. მათში ხაზგასმულია კავკასიის ისტორიული, პოლიტიკურ-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ევროპისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილისა.

1944 წ. თებერვლიდან პოტსდამში გაიხსნა მოხალისეთა სამხედრო-პროპაგანდისტთა ორკვირიანი კურსები ლეიტენანტ ნოეკირხერის ხელმძღვანელობით, რომლის პირველ გამოშვებას 21 თებერვალს სასტუმრო „ობელისკის“ დარბაზში დაესწრნენ უმაღლესი სარდლობისა და ქართული საკავშირო შტაბის წარმომადგენლები. ოფიცრებთან ერთად იყო კურსდამთავრებულთა ძალებით მომზადებული საკონცერტო ნაწილიც. კურსების მომდევნო გამოშვება მოეწყო 21 აგვისტოს და 31 ოქტომბერს. ასეთივე კურსები მოეწყო სხვა კავკასიელი და თურქისტანელი მოხალისეებისათვის მაის-ივნისსა და ივლის-აგვისტოში, რომელთა სასწავლო გეგმის საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ლექტორები და პროგრამა. კურსების სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელი იყო ალექსანდრე ასათიანი, რომელმაც სპეციალურად მოხალისეთათვის შეადგინა „ქართველი ლეგიონერის უბის წიგნაკი“. ლექტორებად მიწვეული იყვნენ გრიგოლ დიასამიძე, რევაზ გაგაშვილი, გიორგი კერესელიძე, მიხეილ წულუკიძე, გიორგი მაღალაშვილი, ვიქტორ ნოზაძე, ისიდორე მანწკავა, დავით საღირაშვილი, არჩილ მეტრეველი, გივი გაბლიანი, ილია კუჭუხიძე,

გივი კობახიძე და სხვები. ქართველების გარდა ლექცია-საუბრებსატარებდნენ სომეხი, აზერბაიჯანელი, ჩრდილო კავკასიელი და გერმანელი ლექტორები – სარქისიანი, დუდაგინსკი, მაგომა, ქაიუმხანი, ფონ მენდელ, ღურკსენი, რეჟისინი, გროტე და სხვები. ლექციები ეკითხებოდათ საქართველოს ძველ და ახალ ისტორიაში, საქართველოს სამხედრო ხელოვნებაზე, გერმანია-საქართველოს ურთიერთობებზე, ქრისტიანობის მნიშვნელობაზე ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის ბრძოლაზე, მიმდინარე მოვლენებზე და ა.შ. პროგრამაში შეტანილია ექსკურსიები, წირვაზე, კონცერტებზე და კინოსეანსებზე დასწრება. შეხვედრები გერმანელ მოქალაქეებთან, გერმანიის არმიის ობერკომანდოსა და ქართული შტაბის წარმომადგენლებთან, სპორტული ღონისძიებები და სხვა. საპროპაგანდო სამმართველოსთან მუშაობდა რადიოგადაცემები კავკასიურ ენებზე.

1944 წ. 1 ივლისს პოტსდამში „ალტერ ფრინცის“ ისტორიულ დარბაზში საზეიმოდ აღინიშნა კავკასიის დამოუკიდებლობის დღე. „ვრცელი დარბაზი სტუმრებს ვეღარ იტევს, აქ არიან კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების – ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების, ჩრდილო-კავკასიელების. ზეიმზე დასასწრებად მოსულან მხედრები, ნაციონალური ლეგიონების ლეგიონერები, გერმანელი და უცხოელი სტუმრებ. საზეიმო საღამო გახსნა ქართული საკავშირო შტაბის წევრმა გ. მაღალაშვილმა; სომხეთის საკავშირო შტაბის სახელით სიტყვით გამოვიდა პოლკოვნიკი უბარქისიანი. აზერბაიჯანის საკავშირო შტაბის სახელით – ა. ათამ-ალაბეკუმი, ქართული საკავშირო შტაბის სახელით – ობერლეიტენანტი გ. გაბლიანი, ჩრდილო კავკასიის ნაციონალური კომიტეტის სახელით - მისი თავმჯდომარე ახმედ-ნაბი მაგომა. მეორე განყოფილება დაეთმო კონცერტს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სომხური ხალხური ცეკვისა და სიმღერის ჯგუფმა ა. სევანიანის ხელმძღვანელობით, ქართულმა გუნდმა ლოტბარ დ. კავსაძის და ქორეოგრაფ ქეთარაძის ხელმძღვანელობით და ჩრდილო კავკასიურმა ანსამბლმა ა. იუსკავეის ლოტბარობით. შეკრებილთ მიესალმა გენერალი ფონ ვარტენბურგი, გენერალი კოსტრინგი და გენერალი ჰაიგენდორფი.

განიხილავდნენ რა კავკასიას როგორც ერთ მთლიან გეოგრაფიულ ერთეულს, კავკასიელი ერების ერთიანობის და საქმიანობის კოორდინაციისათვის აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთი შტაბებმა და ჩრდილო კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს კავკასიური საბჭოს შექმნა. 1944 წ. 18 დეკემბერს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ქართული საკავშირო შტაბის განაცხადი კავკასიელი ერების ერთიანობისათვის, რომელშიც გამოცხადებული იყო საერთო კავკასიური საბჭოს შექმნის აუცილებლობა, საბჭოს შექმნამდე „საერთო კავკასიური პრაქტიკული საქმიანობის წარმართვისათვის დაევალა საგანგებო დელეგაციას შემდეგი შემადგენლობით: მ. კელია

(საქართველო), ა. ალიბეკოვი (აზერბაიჯანი), ა. ჯამალიანი (სომხეთი) და ა. კანტემირი (ჩრდილო კავკასია). საგანგებო დელეგაცია პასუხისმგებელია ზემოთდასახელებულ კავკასიური ორგანიზაციების საერთო კრების წინაშე“.

1945 წ. 12 თებერვალს გაზეთ „საქართველოში“, რომელიც იბეჭდებოდა არჩილ მეტრეველის ქართულ სტამბაში ბერლინში, გამოქვეყნდა კავკასიური საბჭოს განაცხადი “კავკასიური ერების ერთიანობისათვის”: “აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საკავშირო შტაბებმა და ჩრდილო კავკასიის ნაციონალურმა კომიტეტმა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ერთადერთ და სრულყოფილებიან წარმომადგენლებს, გადაწყვიტეს დააარსონ კავკასიური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: აზერბაიჯანის საკავშირო შტაბიდან 1. ალიბეკოვი, 2. მაიორი დუდანგინსკი, 3. დასახელებული იქნება მომავალში; საქართველოს საკავშირო შტაბიდან 1. კედია, 2. მაღალაშვილი, 3. კაპიტანი გაბლიანი; სომხეთის საკავშირო შტაბიდან 1. ჯამალიანი, 2. პოლკოვნიკი სარქისიანი, 3. პოლკოვნიკი ტიგრისი, ჩრდილო კავკასიის ნაციონალური კომიტეტიდან 1. კანტემირი, 2. მაგმა, 3. დასახელებული იქნება მომავალში. კავკასიური კომიტეტის მიზანია: გაეთიანება, კოორდინაცია და ხელმძღვანელობა მთელი იმ საქმიანობისა, რომელსაც დღეს აწარმოებენ კავკასიური ერების წარმომადგენლები, რათა ამ გზით უფრო ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარონ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენისა და დამოუკიდებლობის მიღწევისათვის.

„უკანდახეულმა გერმანელებმა დაკარგეს კავკასია. მაგრამ მიხეილ კედიას ინიციატივით კავკასიელთა სამხედრო ძალების გასაერთიანებლად შექმნეს კავკასიური შტაბი სპირიდონ ჭავჭავაძის მეთაურობით. იგი 1924 წ. აჯანყების მონაწილე იყო. მისი ასაკის გამო, ემიგრანტთა ერთი ნაწილი თავს იკავებდა, მაგრამ მერე მაინც აირჩიეს. შედიოდა თვითონ მიშაც. აქ შეადგინეს კიდევ ერთი ნაწილი, რომლის უფროსი იყო ვასო ალიმბარაშვილი. ქართველებიდან იყვნენ ირაკლი ნიკოლაძე და მისი ძმა. იყვნენ ალექსანდრე ასათიანი, ალექსანდრე ცომაია, ფილიპე შარაძე, ორაგველიძე” – იხსენებს ქართული საკავშირო შტაბის წევრი შ. ბერუეიანი.

ომის მიწურულს ჰიტლერმა სცადა საბჭოთა კავშირიდან გამოსული ყველა ეროვნული ლეგიონი ვლასოვის არმიისათვის შეერთება. ეს გეგმა მ. კედია ჩამალა კავკასიური საბჭოს სახელით და ამით ახალ კაბალას გადაარჩინა კავკასიური ბატალიონები.

აღმოსავლეთის ფრონტზე სამხედრო წარუმატებლობებს დაემატა დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხების უკმაყოფილება, რომლებიც თავდაპირველად გერმანელებს ისე შეხვდნენ, როგორც განმათავისუფლებლებს. გერმანელებმა კი ეროვნული მთავრობების ნაცვლად „გაულაიტერები“ ჩაუყენეს, ეროვნული თავისუფლების ნაცვლად – მონობის ახალი

აპარატი მოახვიეს თავზე. ამის გამო უკმაყოფილება ყოველდღიურად იზრდებოდა. როზენბერგი ბოლოს იძულებული გახდა შტაბები კომიტეტებად ეცნო და ამით ხაზი გაესვა, სიმბოლურად მაინც, მათი მნიშვნელობისა და კავკასიური პოლიტიკისათვის.

1943 წ. შემოდგომაზე შტაბების ძალისხმევით ბალკანეთის და აღმოსავლეთ პრუსიიდან მრავალი ერთეული გადაიყვანეს დასავლეთში – ჩრდილო საფრანგეთში, ჰოლანდიაში, დანიაში, იტალიაში, რათა საბჭოთა ჯარებთან შეჯახებისათვის აერიდებინათ. 1944 წ. მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, მოკავშირეთა დესანტს სწორედ ეს ნაწილები შეეჯახნენ და მძიმედაც დაზიანდნენ. ზოგი ვერც კი გამოვიდა გარემოცვიდან. ძალზე დაზარალებულნი სამშენებლო ნაწილები კიონიგსბერგთან და სარუნერვო ლეგიონები, რომლებიც თავდაცვითი ხაზის ასაშენებლად გაგზავნეს აღმოსავლეთის ფრონტზე.

გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, საჭირო იყო სამხედრო ნაწილების გადარჩენა – მათი განლაგება მოკავშირეთა სავარაუდო ზონებში. საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა გერმანიის მხარეზე მებრძოლი ემიგრანტებიც და ტყვეებიც. „კავკასიური შტაბების საერთო ძალით და ღვაწლით მიღწეული იქნა კავკასიური სამხედრო ნაწილების ისეთ რაიონებში გადაყვანა, სადაც, ჩვენი აზრით, მოსალოდნელი იყო ანგლო-საქსონური ჯარის გადმოსხმა (დანმარკი, იტალია, საფრანგეთი და სხვა). კავკასიური სამხედრო ერთეულების მეთაურობა ჩაბარდა სანდო კავკასიელ ოფიცრებს (აქ გადაიყვანეს 50.000 ზურგში მუშახელად).

ომის შემდეგ, სანამ კავკასიური საბჭოს წამომადგენლები მოკავშირეებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ, სამხედრო ერთეულები დასავლეთის შესაფერის ადგილებზე შეჯგუფდნენ. მ. კედია ნეიტრალურ ტერიტორიაზე, შვეიცარიაში გავიდა, რათა ლეგიონერები რუსებისათვის არ გადაეცათ. შტაბის სხვა წევრების და ფონ მენდეს მცდელობიდანაც არაფერი გამოვიდა; მოკავშირეებმა 1945 წ. რუსებს გადასცეს არა მარტო სამხედრო ერთეულები, არამედ სამუშაოდ წაყვანილი ლტოლვილები და ტყვეთა ბანაკებში მყოფი ტყვეებიც. გადასცეს დასავლეთში თავმოყრილი კავკასიელი და ქართველი ჯარისკაცები. მათგან ნაწილმა გაქცევით უშველა თავს, ზოგი სამშობლოში ნებით დაბრუნდა, ზოგი დარჩა. უკანდახეულმა გერმანელებმა იტალიაში ქართული რაზმები რუსებს შეატოვეს. „ბერგმანის“ ნაწილი რუმინეთში ბროზ ტიტოს ჩაუვარდა ხელთ, მან კი რუსებს გადასცა.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა სასტიკად გაუსწორდა საბჭოთა ხელისუფლება არა მარტო ყოფილ ლეგიონერებს, არამედ ტყვედჩაგვარდნილებს, გერმანიაში სამუშაოდ ძალდატანებით გარეკილ თუ ოკუპირებულტერიტორიებზე მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებს. ვინც ხელში ვერ ჩაიგდეს, რეპრესიები მათ ოჯახის წევრებს და ნათესავებს დაატყდათ. არც

გერმანელებს მხარეზე მებრძოლ კავკასიელებს დაადგათ კარგი დღე. ვინც ვერ მოასწრო დასავლეთისათვის თავის შეფარება, საფრანგეთის და იტალიის ხელისუფლებამ დააპატიმრა „კოლაბორაციონიზმის“ და „ფაშისტებთან“ თანამშრომლობის ბრალდებით. იტალიაში კუნძულ ლიპარის ბანაკში ომის დამთავრებიდან 5 წლის შემდეგ – 1950 წ. ტყვედ იმყოფებოდა და შველას ითხოვდა 11 ქართველი. მაგრამ ეს მაინც ჯობდა ციმბირის ბანაკებს, სადაც გაგზავნეს ისინი, ვინც „ენკავედემ“ ხელთ იგდო ბერლინში. ვინც რეპრესიებს გადაურჩა, მომავალი უსიამოვნებები თავიდან ასაცილებლად,

რადგაც საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა მათი გადაცემა, ევროპას გაერიდა და დიდი ხნით არგენტინას შეაფარა თავი, რომელიც პრეზიდენტი ხუან პერონი გერმანიას თანაუგრძნობდა.

ასე წარმართეს და ასე ტრაგიკულად დამთავრდა კავკასიელ ემიგრანტთა და გერმანელ ანტიჰიტლერულთა „კავკასიური პოლიტიკა“ მეორე მსოფლიო ომში.

პროფესორი **რუსუდან დაუშვილი**  
თბილისის ივ. ჯავახიშვილი სახ. სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ქართული ემიგრაციის მუზეუმი

*Der aus Georgien stammende Schriftsteller und Übersetzer **TENGIS KHACHAPURIDSE** hat bei dem Wettbewerb „Wege der Liebe“ des Literaturpodiums den ersten Platz belegt. Die prämierte Erzählung trägt den Titel „Der letzte Flug.“ Khachapuridse wurde 1952 in Tbilisi geboren. Nach einem Studium der Wärmetechnik und Kraftanlagen sowie der Germanistik begann er 2001 als mit der Arbeit als literarischer Übersetzer. Seit 2004 schreibt er eigene Texte in deutscher und georgischer Sprache. Seitdem hat er bereits mehrere Auszeichnungen erhalten.*

## DER LETZTE FLUG

Die Stewardess muss ihre Frage auf Englisch und etwas lauter wiederholen, weil ich die Frage nicht beachtet habe. Sie will wissen, ob ich Tee oder Kaffee trinken möchte. Meine Antwort ist nur ein Kopfschütteln und gezwungenes Lächeln. Ich will nichts. Gar nichts. Mein einziger Wunsch ist, dass die Maschine so schnell wie möglich in Berlin-Tegel landet. Der Monitor vor mir zeigt die Fluggeschwindigkeit an: neunhundertfünfzig Stundenkilometer, aber man kann es gar nicht merken und ich habe das Gefühl, als wären wir irgendwo zwischen dem von unzähligen Sternen übersäten Himmel und einem namenlosen Kontinent hängen geblieben. Eine neue Info: bis Berlin noch zwei Stunden, also eine Ewigkeit ... Bitte, bitte, schnell, schneller! Denke ich verzweifelt und rede mir ein auf diese Weise der Crew stumme Signale senden zu können. Bitte, schneller!

